საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 31 მაისი. 2018 წ. №115 (8516), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ბანდიტებისგან სხვა რამ არც იყო ③ მოსალოდნელი

ასადის რეჟიმმა დაარღვია საერთაშორისო ფუნდამენტური ნორმები!

„ჩამწვარი“ თრიაქისტი სარ, ბიჭო?!

②

მენავთობეებმა თავისი გაიტანეს – 55-მილიონიანი ჯარიმიდან ფითქმის არაფერი დარჩა

④

ფარულანასთან ბრძოლის ფონზე ფერმერების თხილის მოსავლის გაზრდას ელიან

მგზავრობა არ გაძვირდება!

მამუკა გიორგაძე: ჭორდანიას მთავრობა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას ვერც შეძლებდა, რადგან ეროვნული სახელმწიფოს შექმნისთვის არ უბრძოლია

⑤

პროფესიის პრესტიჟი



არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიას ახალი იტალიელი პრეზიდენტი ჰყავს

⑦

საქართველოს განცხადება გაეროს უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეაზე

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინ**ფორმაციით, გაეროს უშიშროების საბ**ჭოს სხდომაზე, **სადაც უკრაინის საკითხის გეგმიური განხილვა იყო ჩანიშ**ნული, **საქართველოს საკითხიც წამოსწიეს.** უკრაინის მისიის ხელმძღვანელმა დაგმო სირიის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული რეგიონების აღიარების ფაქტი და ხაზი გაუსვა რუსეთის ფედერაციისა და ასადის რეჟიმის ერთობლივ უკანონო ქმედებებს. **„ფაქტიურად, ყირიმი დღეს წარმოადგენს უზარმაზარ სამხედრო ბაზას, რომელიც ხშირად გამოიყენება შორეულ ცხელ წერტილებში, მათ შორის, სირიაში რუსული ინტერვენციებისთვის. მადლიერების ნიშნად, სირიის რეჟიმი თავის დელეგაციებს აგზავნის რუსეთში, და როგორც დღეს ვიხილეთ, მან უკვე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობაც აღიარა“,** – განაცხადა გაეროში უკრაინის წარმომადგენელმა. საკუთარ გამოსვლაში საქართველოს ოკუპაციის საკითხი წამოსწია შვედეთმა და დიდმა ბრიტანეთმა. **„საზღვრების შეცვლა სამხედრო ძალის გამოყენებით – როგორც ამის მოწმენი გავხდით არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ საქართველოშიც, წარმოადგენს იმ საფრთხეს, რომელიც ევროპის ფარგლებს სცდება; როდესაც სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას, საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მართლწესრიგს და გაეროს ქარტიას, ეს არის საფრთხე ყველასთვის. უსაფრთხოება არ არის თამაში ნულოვანი შედეგით და წესებზე დამყარებული წესრიგი ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ წესებს ყველა ასრულებს“,** – განაცხადა შვედეთის ელჩმა გაეროში.

რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად რეგიონში შექმნილ არასტაბილურ გარემოზე ისაუბრა ბრიტანეთის წარმომადგენელმაც, რომელიც დაეთანხმა შვედეთის პოზიციას და განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემა სცილდება მარტო უკრაინისა და საქართველოს საკითხს და საერთაშორისო მართლწესრიგის წინააღმდეგ არის მიმართული. სირიის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებას საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან უკვე მოჰყვა პირველი შეფასებები. გადაწყვეტილება დაგმეს აშშ-მა, ევროკავშირმა, ნატომ, საკითხი განხილული იქნა ევროპის საბჭოში, სადაც საქართველოს განცხადებას მიუერთდნენ და სირიის ქმედებები ასევე დაგმეს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების უმრავლესობამ, სირიის ნაბიჯი განცხადებებით დაგმეს პარტნიორმა სახელმწიფოებმა.

აშშ მკაცრად გმობს სირიის რეჟიმის გადაწყვეტილებას!

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი სირიის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებას გამოეხმაურა, დაგმო და რუსეთს საქართველოს ტერიტორიიდან ჯარების გაყვანა მოსთხოვა, ამის შესახებ განცხადება უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

„აშშ მკაცრად გმობს სირიის რეჟიმის გადაწყვეტილებას, დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებთან, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან. ეს რეგიონები საქართველოს შემადგენელი ნაწილია. აშშ-ის პოზიცია ამასთან დაკავშირებით გადახედვას არ ექვემდებარება. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და მოვუწოდებთ ყველა ქვეყანას, გაითვალისწინონ გაეროს ქარტიით ნაკისრი ვალდებულებები და ისინიც ასე მოიქცნენ. კიდევ ერთხელ, აშშ მოუწოდებს რუსეთს, გაიყვანოს სამხედრო ძალები ომამდე პოზიციებზე, როგორც ეს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაშია აღნიშნული“, – ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ განცხადებაში.

შემთხვევითი არ არის, რომ ჩემი პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში შედგა!

საქართველოს **პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სომხეთის პრემიერს ნიკოლ ფაშინიანს მთავრობის ადმინისტრაციაში პირისპირ შეხვედრაზე უმასპინძლა.**

მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებასა და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის განვითარებაზე ისაუბრეს.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა სომხეთის პრემიერ-მინისტრს პირველი რესპუბლიკის 100 წლის იუბილე მიულოცა და აღნიშნა, რომ ამ თარიღზე მისი ვიზიტი სიმბოლურია.

„ჩვენ ერთდროულად მოგვიწია დამოუკიდებლობის და პირველი რესპუბლიკის გამოცხადება. ეს თარიღი სულ ორიოდე დღის წინათ ვიზეიმეთ საქართველოში და ჩვენთან ერთად ბრძანდებოდა სომხეთის პრეზიდენტი. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, სომხეთის სტაბილურობა და განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ დიდი ყურადღებით ვაკვირდებოდით ბოლო პერიოდის მოვლენებს. სომეხმა ხალხმა გამოავლინა ერთობის და დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულება, რის შედეგადაც ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება მოხდა. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და წარმატებები გისურვოთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთად შევძლებთ, ახალი სტიმული მივცეთ ორმხრივ ურთიერთობებს ქვეყანასა და ხალხთან, რომელთანაც მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს. გიდასტურებთ პირადად ჩემს და ჩემი მთავრობის მზადყოფნას ამისთვის“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ნიკოლ ფაშინიანმა საქართველოს მთავრობის მეთაურს გულთბილი მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და სომხურ-ქართული ურთიერთობების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

„სომხურ-ქართულ ურთიერთობებს ჩვენთვის ისტორიული და ადამიანური საფუძველი აქვს. ჩვენი ხალხები ღრმა ფესვებით არიან დაკავშირებული და ეს კავშირი განუყოფელია. სიმბოლურია და შემთხვევითი არ არის, რომ ჩემი პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში შედგა. ეს გამოხატავს არა მხოლოდ ჩემი ხალხის, არამედ ჩემს პირად დამოკიდებულებას ქართველი ხალხისა და საქართველოს მიმართ. გულწრფელად გილოცავთ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს. ჩვენმა ქვეყანამ საიუბილეო ღონისძიებებში პრეზიდენტის დონეზე მიიღო მონაწილეობა, რაც იმის დასტურია, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენ ამ თარიღს. დარწმუნებული ვარ, რევოლუციის შედეგად, სომხურ-ქართული ურთიერთობები განვითარების დიდ პერსპექტივას შეიძენს. ახალი მთავრობა ძალისხმევას არ დაიშურებს ორმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო განსავითარებლად. ჩვენ აქ ვიმყოფებით, რათა კიდევ ერთხელ დავადასტუროთ, რომ საქართველოსთან ურთიერთობები უნდა გავაღრმავოთ და მეგობრული ფონი შევქმნათ. ჩვენ გვინდა, საქართველო ვიხილოთ ძლიერი და მდგრადი“, — განაცხადა ნიკოლ ფაშინიანმა.

გიორგი მარგველაშვილმა სომხეთის პრემიერ-მინისტრი მიიღო

საქართველოს **პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ნიკოლ ფაშინიანს პირისპირ შეხვდა, რის შემდეგაც საქართველოს პრეზიდენტმა სომხეთის პრემიერსა და დელეგაციას სამუშაო სადილზე უმასპინძლა. შეხვედრისას მხარეებმა საქართველო-სომხეთის ურთიერთობების განვითარებისა და საერთაშორისო ფორმატებში თანამშრომლობაზე ისაუბრეს.**

საქართველოს პრეზიდენტმა ინტენსიური პოლიტიკური დიალოგისათვის მზადყოფნა გამოთქვა. გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ ბოლოდროინდელი მოვლენების მშვიდობიანი განვითარება ქვეყნის შემდგომ კეთილდღეობასა და დემოკრატიულ განვითარებას შეუწყობს ხელს. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, მისთვის უაღრესად სასიხარულოა ახლადარჩეულ, დემოკრატ ლიდერთან შეხვედრა, რაც საქართველო-სომხეთის ორმხრივ ურთიერთობას კიდევ უფრო ახალ ელფერს შესძენს.

ირაკლი კობახიძე ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა

პარლამენტის **თავმჯდომარესა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს შორის საუბრის მთავარი თემა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები იყო.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნიკოლ ფაშინიანს პრემიერ-მინისტრად არჩევა მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ სომხეთში ხელისუფლების შეცვლის პროცესის მშვიდობიანი დასასრული ქართულ-სომხური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების დასაწყისი იქნება. მხარეებმა ხაზი გაუსვეს თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მნიშვნელობას და პოლიტიკური ეკონომიკური და ტურიზმის სფეროში ურთიერთობების განვითარების დადებით დინამიკას.

სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოსა და სომხეთში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, ორივე ქვეყნის საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე გადასვლა ორმხრივი ურთიერთობების გააქტიურებას კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს.

საქართველოს ეკონომიკისადმი საერთაშორისო ინვესტორების ნდობა ყოველწლიურად იზრდება

მიმდინარე **წლის მარტში სარეიტინგო კომპანია „Fitch“-მა გააუმჯობესა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის პერსპექტივა სტაბილურიდან პოზიტიურის მიმართულებით.**

პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ეკონომიკა წლიდან წლამდე ხდება უფრო სტაბილური და გამძლე შოკების მიმართ, ასევე იმას, რომ საქართველოს ეკონომიკისადმი საერთაშორისო ინვესტორების ნდობა ყოველწლიურად იზრდება.

აღნიშნული განცხადება პირველმა ვიცე-პრემიერმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. ბრიფინგის თემას 2018 წლის აპრილში საქართველოს ეკონომიკის ზრდის წინასწარი მაჩვენებლები წარმოადგენდა.

წინასწარი შეფასებით, 2018 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 6.5-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. რაც შეეხება პირველი ოთხი თვის მაჩვენებელს, იანვარ-აპრილის საშუალო ზრდამ 5.5 პროცენტი შეადგინა.

ომი გამოვუცხადოთ რუსეთს თუ ტოჩინოშინი გავაემისროთ?!

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე პარლამენტში რუსეთთან ურთიერთობაზე საუბრისას ოპონენტებს მიმართავს და აცხადებს, რომ მათი საუბარი ცინიზმია და დღევანდელი მდგომარეობა წინა ხელისუფლების ბრალია. **„რა უნდა გავაკეთოთ, ომი გამოვუცხადოთ რუსეთს თუ ტოჩინოშინი გავამგზავროთ ემისრად, ზეწოლა რომ განახორციელოს რუსეთზე და პუტინზე. არ ვიცი, მართლა ვერ წარმომიდგენია, რა უნდა გააკეთო იმ სიტუაციაში, რომელშიც თქვენს გამო მოვხვდით“** — განაცხადა ზოიძემ.

„ჩამწვარი“ თრიაქისტი ხარ, ბიჭო?!

„მარიხუანას **ვეწევი 17 წლიდან და მას ყოველ საღამოს მოვიხმარდი. 3 უმაღლესი მაქვს დასრულებული, ვმუშაობდი საერთაშორისო ორგანიზაციებში და ერთი თვე წყვეტა არ მქონია, ლექციებს ვკითხულობდი, პარლამენტის წევრი ვიყავი და ახლა პრეზიდენტობის კანდიდატი ვარ. პრობლემა იყო ჩემი მშობლებისთვის იმის ახსნა, რომ მათ ასეთი შვილი ჰყავთ“,** — ეს განცხადება „გირჩის“ ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ საკონსტიტუციო სასამართლოში გუშინდელ სხდომაზე გააკეთა.

გუშინ მთელი დღე მოსამართლეთა კოლეგია საქართველოს მოქალაქეების ზურაბ ჯაფარიძის და ვახტანგ მეგრელიშვილის სარჩელს იხილავდა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. მოსარჩელეები მარიხუანის განმეორებითი მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სასჯელების გაუქმებას ითხოვენ. სასამართლო სხდომაზე მოსამართლე ევა გოცირიძე დაინტერესდა, იზიარებენ თუ არა მოსარჩელეები იმას, რომ მარიხუანის მოწევა არის ანტისოციალური მოვლენა და აზიანებს ოჯახის ინტერესებს. გოცირიძეს „გირჩის“ კიდევ ერთმა წარმომადგენელმა იაგო ხვიჩიამ უპასუხა: **„თუ რამე არის ჩემში ანტისოციალური, ეს არაა დაკავშირებული მარიხუანის მოწევასთან. ჩემთვის ინტერესია ადამიანი და ეს არის თავისუფლების საკითხი. ჩვენ ეს საკითხი არ უნდა განვიხილოთ კოლექტიური მორალის ჭრილში“,** — განაცხადა ხვიჩიამ.

„გირჩის“ სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია — მერაბ ტურავას, ევა გოცირიძის, მაია კოპალეიშვილისა და გიორგი კვერენჩხილაძის შემადგენლობით იხილავენ.

„ერთი სარტყელი, ერთი გზა“

„საპარტნიორო ფონდის“ ინიციატივით, მინსკში ბიზნესფორუმი გაიმართა, რომელშიც „საპარტნიორო ფონდის“ პარტნიორმა კომპანიებმა მიიღეს მონაწილეობა. მინსკის ფორუმზე სინგაპურის, კორეის, ჩინეთისა და ჰონგკონგის ბიზნესდელეგაციები იყვნენ წარმოდგენილი.

ბელარუსი ახალი პლატფორმაა აბრეშუმის გზის პროექტში ჩართული ქვეყნებისთვის, სამომავლო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი საინვესტიციო პროექტების დაგეგმვის მიზნით.

ფორუმი საუკუნის პროექტის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ იმპლემენტაციისა და საინვესტიციო პერსპექტივების, ასევე, რეგიონის ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესებისა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების საკითხებს მოიცავდა.

მინსკის ბიზნესფორუმს ორგანიზება ბელარუსის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ გაუწია, რომელზეც სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციების ხელმძღვანელებთან ერთად, სიტყვით წარდგა „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი და შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ პროექტში მუდმივმოქმედი წარმომადგენელი დავით საგანელიძე.

დავით საგანელიძემ სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა საქართველო-ბელარუსის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლასა და საქართველოდან ეკოლოგიურად სუფთა და ნატურალური პროდუქტების ბელარუსში ექსპორტის საკითხს. ეს გადაწყვეტილება საქართველოში ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს ვიზიტისას მიიღეს.

დავით საგანელიძემ „საპარტნიორო ფონდის“ შესახებ გააკეთა პრეზენტაცია და თავის მოხსენებაში „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ საერთაშორისო თანამშრომლობისათვის მნიშვნელობისა და საუკუნის პროექტში საქართველოს როლის შესახებ ისაუბრა. „საპარტნიორო ფონდის“ ხელმძღვანელმა ფორუმის ფორმატით მხარეებს შორის მიღწეულ შეთანხმებებსა და მთავარ მიზნებზე გაამახვილა ყურადღება, რაც „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ფარგლებში კორპორაციების, ინდუსტრიების, ფინანსური ინსტიტუტების, მთავრობებისა და სამეცნიერო საზოგადოებებისთვის თანამშრომლობის პლატფორმის შეთავაზებას წარმოადგენს.

„ეს არის სირიის მიერ რუსეთიდან პოლიტიკური, ფინანსური და სხვა სარგებლის მიღების მიზნით განხორციელებული ქმედება“

სირიის არაბულმა რესპუბლიკამ ოკუპირებული აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა აღიარა. ამის საპასუხოდ საქართველომ სირიასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის პროცესი დაიწყო. საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენელმა იანოშ ჰერმანმა აღნიშნა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აქედან გამომდინარე, სირიის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს და არაღიარების პოლიტიკას, რომელსაც ევროკავშირი უკვე დიდი ხანია, მტკიცედ ატარებს.

„ევროკავშირი გააგრძელებს საქართველოში არსებული ტერიტორიული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გზების ძიებას“, — აღნიშნა **იანოშ ჰერმანმა**.

აშშ-სთვის მტკიცედ მიუღებელია სირიის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა **ელიზაბეთ რუდმა** აღნიშნა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს სუვერენული ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია.

ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი **მიხეილ ჯანელიძე** თვლის, რომ არალეგიტიმური ასადის რეჟიმის მხრიდან, რომლისთვისაც საკუთარი მშვიდობიანი მოსახლეობა არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს, მსგავსი ნაბიჯი გასაკვირი არ იყო, ისევ მათი მმართველების, რუსეთის კარნახით.

ჯანელიძის თქმით, საერთაშორისო საზოგადოებას მკაფიო პოზიცია აქვს ჩამოყალიბებული ასადის რეჟიმთან დაკავშირებით, ამიტომ ეს აღიარება საერთაშორისო არაღიარების პროცესისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოშობს.

„სამწუხაროა, რომ საოკუპაციო რეჟიმები ამას გამარჯვებად თვლიან და ჩვენს მოსახლეობას, რომელიც ოკუპირებულ რეგიონებში ცხოვრობენ, ამ პროპაგანდის ქვეშ აცხოვრებენ. ბნელ და მართულ ძალებთან კავშირით რაღაც ილუზიების შექმნას ცდილობენ, ნაცვლად შერიგებისთვის გზების ძიებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისთვის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფისა“, — აცხადებს მიხეილ ჯანელიძე.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **დავით დონდუა** თვლის, რომ საფრთხე იმისა, რომ სირიის აღიარების გავლენით რომელიმე სხვა არაბულმა ქვეყანამ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები აღიაროს, არ არსებობს.

მან დაადასტურა, რომ დაწყებულია მუშაობა სირიის რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის მიმართულებით.

„რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის გარანტიები. მთელი ცივილიზებული სამყარო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტებს და ტერიტორიულ მთლიანობას, მათ შორის იმ რეგიონის ქვეყნები, რომელშიც ეს არალეგალური აღიარება მოხდა. ჩვენ აქტიური კონტაქტები გვაქვს ახლო აღმოსავლეთის, სპარსეთის ყურის და აფრიკის არაბულ სამყაროსთან. ამ მხრივ, საფრთხე იმისა, რომ ამას რამე რეაქცია და გავლენა ექნება სხვა სახელმწიფოებისგან, მსგავსი არალეგალური ქმედების განმეორებაზე, არ არსებობს“, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

საქართველოს პრეზიდენტის საერთაშორისო მდივანი თენგიზ ფხალაძე აცხადებს, რომ სირიის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებით, საქართველოს უპირისპირდება არა სირიის სახელმწიფოს დიპლომატია, არამედ რუსული დიპლომატია.

როგორც ფხალაძე ამბობს, მნიშვნელოვანია, საერთაშორისო არენაზე მწყობრი, კოორდინირებული და მიზანმიმართული ნაბიჯების კიდევ უფრო გაძლიერება, რათა რუსეთის ფედერაციაზე დიპლომატიური წნეხი კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს და გაძლიერდეს.

„მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია ჩვენი კოორდინირებული მუშაობა არაბული ლიგის ქვეყნებთან და, ზოგადად, ამ რეგიონის ქვეყნებთან, რადგან ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ის დიპლომატიური ფრონტი, რომელიც გახსნილი აქვს რუსეთის ფედერაციას საქართველოს წინააღმდეგ... თავისთავად ცხადია, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია აქ ჩვენი პარტნიორების ჩართვა და მათთან ერთად კოორდინირებული ნაბიჯების გადადგმა საერთაშორისო არენაზე“, — აცხადებს **თენგიზ ფხალაძე**.

როგორც „ქართული ოცნების“ დეპუტატმა **ეკა ბესელიამ** აღნიშნა, თანამედროვე სამყაროში არც ერთი დემოკრატიული სახელმწიფო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობას არ აღიარებს — საქართველოს სუვერენიტეტი, ერთიანობა და მთლიანობა ყველა საერთაშორისო დოკუმენტშია აღიარებული.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** არ მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით ყურადღება მოადუნა და აცხადებს, რომ სირია იმდენად არის დამოკიდებული რუსეთზე, რომ საქართველოს ხელისუფლება აქ უძლური იქნებოდა.

როგორც ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რუსეთი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა სირიაზე, რათა მას აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ეღიარებინა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის **ვახტანგ ყოლბაიას** შეფასებით, სირიის რეჟიმის გადაწყვეტილება შეიძლება შევაფასოთ, როგორც სირიის მიერ რუსეთიდან პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა სარგებლის მიღების მიზნით განხორციელებული ქმედება.

როგორც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ **ლაშა დარსალიამ** განაცხადა, არ ელის, რომ სირიის გადაწყვეტილება რამე განსაკუთრებულ დარტყმას მიაყენებს საქართველოს არაღიარების პოლიტიკას, შეიძლება ითქვას პირიქითაც — ამით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ რუსეთის რესურსი, მოიპოვოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება საკმაოდ შეზღუდულია.

„ასადის რეჟიმმა, რომელიც წარმოადგენს რუსეთის სატელიტს, აღიარა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების. ე.წ. დამოუკიდებლობა. ამით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ის არის უპასუხისმგებლო აქტორი და საერთაშორისო საზოგადოების წინააღმდეგ მიდის. მე არ ველი, რომ ეს რაიმე განსაკუთრებულ დარტყმას მიაყენებს საქართველოს არაღიარების პოლიტიკას, შეიძლება ითქვას პირიქითაც — ამით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ რუსეთის რესურსი, რომ მოიპოვოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება საკმაოდ შეზღუდულია და მხოლოდ მისი სატელიტებით ან უპასუხისმგებლო აქტორებით შემოიფარგლება“, — განაცხადა დარსალიამ.

მოამზადა
მარიამ თოდაძემ

ასადის რეჟიმმა დაარღვია საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმები!

ასადის რეჟიმმა დაარღვია საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმები და მხარი დაუჭირა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას, — ამის შესახებ ნათქვამია საპარლამენტო უმრავლესობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„2018 წლის 29 მაისს სირიის რეჟიმმა მიიღო უკანონო გადაწყვეტილება საქართველოს განუყოფელი რეგიონების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ქმედება რუსეთის ფედერაციის მხრიდან მანიპულირების შედეგია, რითაც ასადის რეჟიმმა დაარღვია საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმები და მხარი დაუჭირა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციას და წლების განმავლობაში მიმდინარე ეთნიკურ წმენდას; უგულებელყო სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გამართლებულად მიგვაჩნია პროცედურების დაწყება სირიის არაბთა რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის მიზნით. მივმართავთ საგარეო საქმეთა სამინისტროს, განიხილოს აღნიშნული საკითხი საერთაშორისო თანამეგობრობასთან, თანამშრომლობის ყველა შესაძლო მექანიზმის გამოყენებით. მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მისცეს ასადის რეჟიმის უკანონო გადაწყვეტილებას და მიიღოს ზომები აღნიშნული ქმედების საპასუხოდ“.

ბანდიტებისგან სხვა რამ არც იყო მოსალოდნელი

სირიის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ ინფორმაცია გალის მცხოვრებლებმა ქართული საინფორმაციო საშუალებებით შეიტყვეს.

რადიო „თავისუფლების“ რესპონდენტი, რომელიც ოკუპირებულ ქალაქ გალში ცხოვრობს, აცხადებს, რომ იქ მყოფი ქართველების რეაქცია ამ ფაქტზე, რა თქმა უნდა, უარყოფითია. რესპონდენტი, რომელსაც ვინაობის გამხელა უსაფრთხოების დაცვის მიზნით არ სურს, რადიო „თავისუფლებასთან“ სატელეფონო საუბარში ამბობს, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები, საერთაშორისო დონეზე მიღებული, დე ფაქტო ხელისუფლებას აძლიერებს, ეს კი, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფაზე.

„უფრო გართულდება აქ ცხოვრება. რაც მეტი ქვეყანა აღიარებს, მით უარესია ადგილობრივი ხალხისთვის. სახელმწიფოდ თვლიან თავს. მით უმეტეს, ჩვენ წაგებული მხარე ვართ“, — ამბობს ქალაქ გალის მცხოვრები.

მის აზრს იზიარებს რადიო „თავისუფლების“ კიდევ ერთი რესპონდენტი, რომელიც წლების განმავლობაში გალის ერთ-ერთ სოფელში სკოლის დირექტორად მუშაობდა და იმის გამო, რომ ე. წ. აფხაზური პასპორტი ჩამოართვეს, საკუთარ სოფელში ვერ ბრუნდება. ის ახლა ოკუპირებული ნაბაკევის მოსაზღვრე ზუგდიდის სოფელ ხურჩაში ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, შუახნის მამაკაცი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ არ სურს ვინაობის დასახელება, რადგან ოჯახის წევრები და ნათესავები გალში ჰყავს. რესპონდენტის თქმით, დროთა განმავლობაში აფხაზეთში მცხოვრები ქართველების უფლებრივი მდგომარეობა უარესდება, სხვა ქვეყნების მიერ ოკუპირებული ტერიტორიის აღიარება კი ამ მხრივ მდგომარეობას მხოლოდ გააუარესებს.

ვარჩიე აქეთ გადმოსვლა და ახლა ჩემი პასპორტი აფხაზეთის პროკურატურაში დევს. მე საჯარო სკოლის დირექტორად ვმუშაობდი და გამათავისუფლეს სამსახურიდან. შექმნეს ყოველგვარი პირობა, რომ დამეტოვებინა ჩემი მშობლიური სოფელი...

„ამ ყველაფრის ფონზე ზემოქმედება იქ მცხოვრებ ქართველებზე უფრო გაძლიერდება. ეს ასე იქნება, იმიტომ რომ ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც მას გასაქანს არ აძლევდა, იყო ეს არაღიარების პოლიტიკა საერთაშორისო მასშტაბით. და ახლა ზედაპირულად ქმნის იმის ილუზიას, რომ მათ უხსნის გზას ლეგიტიმაციისკენ“, — აცხადებს გალის მკვიდრი, რომლის თავისუფლად გადაადგილების უფლება ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ დაირღვა, როცა დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჯერ გაიფრთხილეს, ასე ხშირად დანარჩენ საქართველოში არ გადასულიყო, შემდეგ კი ე.წ. პასპორტი ჩამოართვეს: **„წამომიყენეს ასეთი პირობა, რომ ან მეცხოვრა იქ და არ გადმოვსულიყავი აქეთ. არჩევანის წინაშე დამაყენეს და ჩემთვის მიუღებელი იყო საქართველოსთან კავშირის გაწყვეტა. ვარჩიე აქეთ გადმოსვლა და ახლა ჩემი პასპორტი აფხაზეთის პროკურატურაში დევს. მე საჯარო სკოლის დირექტორად ვმუშაობდი და გამათავისუფლეს სამსახურიდან. შექმნეს ყოველგვარი პირობა, რომ დამეტოვებინა ჩემი მშობლიური სოფელი“,** — ამბობს ამჟამად სოფელ ხურჩაში მცხოვრები მამაკაცი.

რუსეთმა დიდი სამსახური გაუწია ასადის რეჟიმს და სანაცვლოდ აღიარება სთხოვა. ასე აფასებს პოლიტოლოგი **ზურაბ ბენდიანიშვილი** სირიის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების აღიარების ფაქტს. მისი განცხადებით, ამას ჩვეულებრივი „ბანდური გარიგების“ შედეგი შეიძლება დაერქვას, რომელიც არ შეიძლება აფხაზებისა და ოსებისთვის საამაყო იყოს. პოლიტოლოგის თქმით, დღევანდელი ფაქტი მოწმობს ერთ რამეს, რომ რუსეთი ძალიან ბევრს ეცადა და სხვაგან ვერსად მოახერხა დე ფაქტო რესპუბლიკების აღიარების მოპოვება:

ვინც ქიმიური იარაღით ბავშვების მკვლელებს მხარს უჭერს, იმათ ნორმალურ ხელისუფლებად ვერ ჩავთვლით. რუსებს ვგულისხმობ. ასეთ ბანდიტურ რეჟიმს, ვისაც კი დაეხმარება, ყველას ანალოგიურს მოსთხოვს. მსოფლიოს თვალში ასადის რეჟიმი არის მკვლელების რეჟიმი. ეს არის რეჟიმი, რომელმაც ქიმიური იარაღით გაანადგურა თავისივე მოქალაქეები, მათ შორის ბავშვები და ქალები. ასე რომ, დიდი ღირსება და პატივი აფხაზებისთვის სირიის აღიარება არ უნდა იყოს...

ზურაბ ბენდიანიშვილის სიტყვებით, რუსეთი რაც მეტ „ბანდიტურ რეჟიმს“ დაუჭერს მხარს, მით მეტად დაანახვებს მსოფლიოს თავის სახეს.

თამაზ ზანთარაია

მენავთობეებმა თავისი გაიტანეს –

55-მილიონიანი ჯარიმიდან თითქმის არაფერი დარჩა

საქართველოს კონკურენციის სააგენტოში საავტომობილო საწვავის ბაზრის ხელმეორე მოკვლევა დასრულდა. რამდენიმე თვის წინ სასამართლომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, სააგენტოს 2015 წლის გადაწყვეტილება ბათილად ცნო და უწყებას საქმის გარემოებების ხელახალი მოკვლევა დაავალა. ხადურის უწყებას მაინცდამაინც ბევრი არ უფიქრია და ნავთობკომპანიებს ჯარიმა თითქმის 20-ჯერ შეუმცირა - 55 მილიონიდან 3 მილიონ ლარამდე.

ყველა ნავთობკომპანია ერთად ჯამში ამ ოდენობის ჯარიმას გადაიხდის. შესაბამისად, მათ სამწლიან წინააღმდეგობას ტყულიად არ ჩაუვლია. მენავთობეები არ მალავენ, რომ ამ გადაწყვეტილებას აღარ გასაჩივრებენ და მინიმალური ჯარიმის გადახდას დაყაბულდებიან.

კონკურენციის სააგენტოს 3 წლის წინანდელი და ამჟამინდელი გადაწყვეტილებები ეკონომისტ **ემზარ ჯგერენაიას** აზრით, ემოციურ ფონით იყო მიღებული და არა რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით. შესაბამისად, გამოდის, რომ ამ უწყებას პროფესიონალიზმი აკლია.

„ნავთობკომპანიებმა გაასაჩივრეს მათთვის დაწესებული 55-მილიონიანი ჯარიმა და მოიგეს კიდეც პროცესი. ეს იმას ნიშნავს, რომ 2015 წლის ივლისში მიღებული გადაწყვეტილება იყო უსაფუძვლო. თავის დროზე არ შეისწავლეს საფუძვლიანად ბაზარი და გამოძიებაც ზედაპირული იყო. დასკვნა ემოციური ფონით უფროა მიღებული, ვიდრე რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით. ამ სააგენტოს სჭირდება განახლება, მათი კვლევა უნდა იყოს პროფესიონალური, ხოლო გადაწყვეტილებები გამართლებული და მიზანს უნდა აღწევდეს“, – განაცხადა ჯგერენაიამ.

კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილება ნავთობკომპანიებისთვის ჯარიმის 52 მილიონი ლარით შემცირებასთან დაკავშირებით „ლუკოილისთვის“ მისაღებია, თუმცა, როგორც კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილე **შავლეგ მიშველაძე** აცხადებს, ამ ეტაპზე სასამართლო დავის შეწყვეტასთან დაკავშირებით კომპანიაში საბოლოო გადაწვეტილება არ მიუღიათ.

„ჩვენი მონაწილეობა ამ დანაშაულში იყო სრულად აბსურდული და ამიტომ ვეღოდებოდით, რომ მათი მხრიდან ეს იქნებოდა გააზრებული. შედეგი სახეზეა, ჯარიმა დღეს არის 10-ჯერ ნაკლები, თუმცა გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, გასაჩივრდება თუ არა ახალი მოკვლევის შედეგები, ჩვენს შიდა კონსულტაციებზეა დამოკიდებული. ახლა გადასახდელი თანხა შეადგენს დაახლოებით 400 000 ლარს, გადაწონის თუ არა ეს მოცულობა ჩვენი გუნდის მხრიდან რამდენიმეწლიან შრომას, ამის მიხედვით მივიღებთ სასამართლო დავასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას.

მიუხედავად ამისა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ შედეგით კმაყოფილები ვართ. ეს მოცემულობა ადასტურებს იმას, რასაც ვამბობდით, რომ ჩვენ მსგავს დანაშაულში თავს მონაწილედ ვერ მივიჩნევდით და ვერც მივიჩნევთ“, – განუცხადა „ბიზნეს მედიას“ შავლეგ მიშველაძემ.

„სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ გენერალური დირექტორი **ლევან გიორგაძე** კი მიიჩნევს, რომ ნავთობკომპანიები მთავრობასთან სასამართლო დავას შეწყვეტენ, რადგან ბიზნესს რეპუტაცია მაქსიმალურად აღუდგა. მისი თქმით, ბიზნესს პრეტენზიები დარჩა, თუმცა დიდი ალბათობით სამართლებრივ დავას შეწყვეტს.

შეგახსენებთ, კონკურენციის სააგენტომ საწვავის ბაზარზე მოქმედი კომპანიები, 2015 წლის ივლისში, ჯამში, 55 მლნ ლარით დააჯარიმა. „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ – 14 381 385 ლარით, „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (გალფი) – 11 267 384 ლარით, „რომპეტროლ საქართველო“ – 10 845 806 ლარით, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ – 10 426 393 ლარით, „ლუკოილ-ჯორჯია“ – 4 740 260 ლარით, „L ოილი“ – 1 209 890 ლარით, „ი თი აი“ – 1 172 766 ლარით, „ბინული 1“ – 654 445 ლარით.

ახალი გადაწყვეტილებით მათი ჯარიმის ოდენობა იმდენად მცირეა, რომ ნავთობიმპორტიორებს მორიგი მრავალწლიანი სასამართლო დავა აღარ უღირთ.

გეჟა დანელია

მგზავრობა არ გაძვირდება!

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა არ გაძვირდება.

„ზოგიერთი მედიასაშუალებისა და პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოსდა, მოსალოდნელია ავტობუსებითა და მეტროთი მგზავრობის საფასურის მატება, სრული დეზინფორმაციაა და სიმართლესთან არაფერი აქვს საერთო. ასევე, გაუგებარია ამ მცდარი ვარაუდის დაკავშირება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტების რეორგანიზაციის გეგმის შემუშავებასთან.

თბილისის მერია საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებაში სოციალურ ფაქტორს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად განიხილავს. მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად 60 მილიონ ლარს ხარჯავს საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოქალაქეთა შეღავათიანი და უფასო მგზავრობის დასაფინანსებლად.

თბილისის მერიისთვის სატრანსპორტო პოლიტიკის წარმართვისას პრინციპულად მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის დაბალტარიფიანი და შეღავათიანი მგზავრობის შეთავაზება. გარდა ამისა, ჩვენი პრიორიტეტია, საზოგადოებრივი ტრანსპორტი გახდეს მეტად სწრაფი და კომფორტული, ამ მიზნით იგეგმება არსებული ავტოპარკის სრული განახლება და მეტროს შემადგენლობების დამატება. მთლიანობაში, ეს ყოველივე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის ზრდას და მის პოპულარიზაციას განაპირობებს“, – ნათქვამია განცხადებაში.

◎ „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან!“

ფაროსანასთან ბრძოლის ფონზე ფერმერები თხილის მოსავლის გაზრდას ელიან

აზიური ფაროსანა სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში უკვე გამოჩნდა, შესაბამისად მავნებელი მწერის საწინააღმდეგო ქიმიური წამლობაც აქტიურად დაიწყო. მწერმა შარშან საქართველოში თხილის მოსავლის უდიდესი ნაწილი გაანადგურა და ფერმერები მოსავალის გარეშე დატოვა.

რა იქნება წელს, როგორ მოსავალს ელიან ფერმერები და რამდენად დამაკმაყოფილებელი იქნება თხილის ხარისხი? – „კომერსანტი“ თხილის პრობლემებით დაინტერესდა.

საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს გიორგი თოდუას თხილის წლევანდელ მოსავალთან დაკავშირებით პოზიტიური მოლოდინები აქვს. მისი თქმით, მოსახლეობას წელს უკვე აქვს ინფორმაცია, თუ როგორ მოუარონ პლანტაციებს.

მისი თქმით, ფერმერები აქტიურად არიან ჩართულები ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც სახელმწიფო პროგრამაც უწყობს ხელს.

„შარშან არასახარბიელო მდგომარეობა გვქონდა, ფერმერებმა არ იცოდნენ როდის და რითი შეეწამლათ პლანტაციები, არც მიწის ანალიზები არ ჰქონდათ გაკეთებული. წელს კი დიდმა ნაწილმა პლანტაცია უკვე ორჯერ შეწამლა სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ. იმას ვერ ვიტყვი, რომ აბსოლუტურად ყველა ფერმერმა ჩაატარა წამლობა და მცენარეს თანამედროვე სტანდარტებით უვლის, თუმცა, განსხვავება ძალიან დიდია. ისინი მონდომებულები არიან, რაც საბოლოოდ კარგად აისახება მათ მოსავალზეც “, – აცხადებს გიორგი თოდუა.

თხილის მწარმოებელთა ასოციაციის დირექტორი იმედოვნებს, რომ ფერმერი, რომელიც წამვლას წესების მიხედვით ჩაატარებს და პლანტაციას კარგად მოუვლის, ხარისხიან მოსავალსაც მიიღებს.

გიორგი თოდუა ფერმერის ხარჯებზე ამახვილებს ყურადღებას:

„ჰექტარზე წამვლა 50 დან 100 ლარამდე ჯდება. არსებობს კომბინირებული წამლობები და არსებობს არაკომბინირებული წამლობები. ყველასთვის ერთი რეცეპტი არ არსებობს, შესაბამისად ფასიც განსხვავებულია. პროცესებში საკრედიტო ორგანიზაციები არიან ჩართული. ჩემი ინფორმაციით 100 000 ლარის კრედიტი გაიცა იმისათვის, რომ მათ პრეპარატები შეეძინათ. ფერმერებისთვის ხელისშეწყობა არის, დანარჩენი კი მათზეა დამოკიდებული“, – აცხადებს გიორგი თოდუა.

შარშანდელთან შედარებით მოსავლის უფრო მეტ რაოდენობას ელოდებიან თხილის გადამამუშავებელ კომპანია „Georgian Products Renaissance“-ში. კომპანიაში აცხადებენ, რომ ხეებზე ნაყოფი კარგად არის განვითარებული და ფაროსანაც ნაკლები რაოდენობითაა.

„ჩვენი საწარმო მთელი წლის განმავლობაში მუშაობს. შეფერხება არ გვქონია, კომპანიის ექსპორტი დაახლოებით იგივეა, რაც შარშან იყო. დღევანდელი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, მოსავალი უნდა გაიზარდოს. ახლა შეწამვლას ვახორციელებთ და პლანტაციებს ადგილზე აუდიტს ვუტარებთ. თხილის ყვავილობა ძალიან კარგად მიდის. თუ ნაყოფს სიდამპლე არ ექნება და მწერი ვერ შეჭამს, ექსპორტი აუცილებლად გაიზრდება“, – აცხადებს **ბაია სალუქვაძე.**

ამ დროისთვის უცნობია, თუ რა იქნება ბაზარზე 1 კილოგრამი თხილის ფასი. თუმცა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურქეთში, იტალიასა და სხვა ძირითად მწარმოებელ ქვეყნებში თხილის დიდ მოსავალს ელოდებიან. აქედან გამომდინარე, ქართველ ფერმერს შესაძლოა, თხილის დაბალ ფასად გაყიდვა მოუწიოს.

ბაჩო ადამია

გურჯაანში ყურძნისა და სხვა ხილის კონცენტრატის საწარმო აშენდება

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში გურჯაანში ყურძნისა და სხვა ხილის კონცენტრატის საწარმო აშენდება, რისთვისაც არანაკლებ 967 692 ლარის ინვესტიცია განხორციელდება და შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

საწარმოს ასაშენებლად შპს „ჯიემსვით ენდ დრინქსს“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო-ს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან გურჯაანში, დ. აღმაშენებლის ქუჩა 395-ში მდებარე 9884.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები გადაეცა.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელთა მიმართ აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგნი დადებითად აფასებენ „სოციალ-დემოკრატების“ ნამოქმედარს, ზოგნი კი უკიჟინებენ არაეროვნულობას და იმას, რომ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შემქმნელნი კონსტანტინოპოლის გავლით პარიზში ემიგრაციაში გაიქცნენ, ხოლო ხალხი ბოლშევიკებს შეატოვეს. როგორია ამასთან დაკავშირებით საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ადამიანების პოზიცია?! ამის შესახებ „სახალხო პარტიის“ ლიდერი მამუკა გიორგაძე გვესაუბრება.

მამუკა გიორგაძე: ჟორდანიას მთავრობა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას ვერც შეძლებდა, რადგან ეროვნული სახელმწიფოს შექმნისთვის არ უბრძოლია

მამუკა გიორგაძე: არც მე ვარ მაინცდამაინც აღფრთოვანებული „სოციალ-დემოკრატების“ ხელისუფლებით. მათ ბევრი შეცდომა დაუშვეს. პირდაპირ ვიტყვი, დანაშაული ჩაიდინეს საქართველოს ეკლესიასთან, საქართველოს ეროვნულ იდეასთან მიმართებით. მარტო ილია ჭავჭავაძესთან მათი კამათი კმარა ამ პოზიციაში განსამტკიცებლად.

— ეკლესიასთან მიმართებით გულისხმობთ იმას, რომ მარქსის მატერიალისტურ მოძღვრებაზე აღზრდილმა ჟორდანიას მთავრობამ საქართველოს ეკლესიას სასწავლო შენობები, მიწები ჩამოართვა და სკოლებიდან საღვთო სჯულის სწავლება ამოიღო?

— ჟორდანიას ხელისუფლება იყო ათეისტური ხელისუფლება, რომელმაც, ფაქტობრივად, საქართველოს ეკლესია თითქმის კანონგარეშედ გამოაცხადა. მართალია, ბოლშევიკებივით ეკლესიის დევნა არ დაუწყიათ, მაგრამ მაქსიმალურად შეუზღუდეს ეკონომიკური ბერკეტები. მათ, როგორც ათეისტური პარტიის წარმომადგენლებმა შეზღუდეს ჩვენი ეკლესიის საქმიანობა და ყველანაირად საქართველოს ეკლესიის დისკრიმინაციას ეწეოდნენ. პირველი პატრიარქები, როგორებიც იყვნენ კირიონ მეორე და ლეონიდე, მუდმივ ბრძოლაში იყვნენ ჟორდანიას ხელისუფლებასთან. ლეონიდეს პერიოდს დაემთხვა საქართველოს დამოუკიდებლობის წლები. უწმინდეს ლეონიდეს მუდმივად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელ ხელისუფლებასთან. მიუხედავად ამისა, პირველი რესპუბლიკა ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ის ჩვენი დამოუკიდებლობის საფუძველთა საფუძველია. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პარტიის პოლიტიკური წინაპრები, ღირსეული მამულიშვილები — „ეროვნულ-დემოკრატები“ ოპოზიციაში ედგნენ და უარყოფითად აფასებდნენ ჟორდანიას მთავრობის ქმედებებს, მათთვისაც კი პირველი რესპუბლიკა საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლო იყო და, ბუნებრივია, 26 მაისი ჩვენი დამოუკიდებლობის სიმბოლოცაა.

— გრიგოლ რობაქიძე ჰიტლერის, მუსოლინის პერსონების სიძლიერით იყო აღფრთოვანებული და ესეისტურ წიგნებს უძღვნიდა მათ. ეს იმის გამოც ხომ არ ხდებოდა, რომ სწორედ ჰიტლერში ხედავდა რუსი ბოლშევიკებისგან დამონებული საქართველოს ჰიპოთეტურ გამათავისუფლებელს?

— გრიგოლ რობაქიძეს აქვს ესეი ლენინზეც, ჰიტლერზეც და, მხატვრული თვალსაზრისით, ეს არის უბრწყინვალესი ნიმუშები. სულ სხვა არის მისი იდეოლოგიური და პოლიტიკური შემადგენელი. რობაქიძე მაინც მწერალია, ხელოვანია, შემოქმედია, მას თავისი სუბიექტური განცდების ქაღალდზე გადმოტანა შეეძლო, ეს მისი ხედვებია და ჩვენ უნდა მივიღოთ ის მთლიანობაში როგორც თავის რომანებთან, ისე სხვა ნაწარმოებებთან ერთად. ყველაფერში მას მაინც ქართული რასის პრიმატი აქვს გადმოცემული და სწორედ ამ კუთხით განიხილავდა სხვა პროცესებსაც. ამდენად, მისი პოლიტიკური შემადგენელი საინტერესო არ არის.

რაც შეეხება პოლიტიკოსებს, აქ მთავარი სწორედ პოლიტიკური შემადგენელია და არა მაშინდელი პოლიტიკოსების სუბიექტური განცდები თუ შეხედულებები. სამწუხაროდ, „სოციალ-დემოკრატებს“ რუსული იმპერიის დაშლის შედეგად შემთხვევით ჩაუვარდათ ხელში საქართველოს დამოუკიდებლობა. ისინი არც ფსიქოლოგიურად იყვნენ ამისთვის მზად და არც შესაბამისი აზროვნებით იყვნენ მოწოდებულნი, ეხელმძღვანელათ ქვეყნისთვის. ისინი ყველაფერს მარქსისტულ პრიზმაში განიხილავდნენ. ამას არც მალავდნენ და ღიად აცხადებდნენ, რომ ისინი სწორედ მარქსისტულ-სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისთვის იყვნენ მოსულები და არა ეროვნული სახელმწიფოს შექმნისთვის.

— მათ მიერ დიდი მონდომებით ხდებოდა ილია ჭავჭავაძის დემონიზება. ნოე ჟორდანია კი ილიას შესახებ წერდა, ქართული პრესა ერთიანად გათახსირებულია როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივად, ხოლო ქართული პრესის ეს გათახსირება სწორედ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის შედეგიაო.

— ცხადია, ისინი ებრძოდნენ ყოველგვარ ეროვნულ გამოვლინებას. მარტო ილია ჭავჭავაძის სტატია „ნოე ჟორდანიას წაჯექ-უკუჯექობანი“ კმარა სრული სურათის შესაქმნელად, რაც ქართველმა კაცმა უნდა იფიქროს ამ ადამიანებზე. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, არც ერთი მათგანი არ იყო მოწოდებული, თავიანთი პირადი კეთილდღეობა უზრუნველეყოთ, არც ერთი მათგანი არ მუშაობდა იმაზე, რომ კორუფციაში ჩაფლულიყო და ნეპოტიზმი განევითარებინა ქვეყანაში. არც ერთი მათგანი არ ფიქრობდა იმაზე, როგორ ესარგებლა ხელისუფლებაში ყოფნით და მოეწყო პირადი ცხოვრება. უბრალოდ, მათ ვერ მოახერხეს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა და ამას ვერც მოახერხებდნენ, რადგან მათ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოს შექმნისთვის არ უბრძოლიათ. ისინი იბრძოდნენ ზოგადად სოციალისტური რევოლუციისთვის, დემოკრატიისთვის.

თუნდაც ის ფაქტი, რომ მაშინდელმა სახელმწიფოს მეთაურმა კენჭისყრის დროს თავი შეიკავა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისგან, ნათლად მეტყველებს მათ მენტალობასა და აზროვნებაზე ისევე, როგორც მეორე ლიდერმა ღიად განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა დაღუპავს რუსულ დემოკრატიასო. ამ ფსიქოლოგიის, ამ ხედვის ადამიანებმა სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება ვერ მოახერხეს. მართალია, ამ ჯგუფში იყო ზოგიერთი ადამიანი, რომელთაც სურდათ, ეს გაეკეთებინათ, რაღაც გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს ამ მხრივ, მაგრამ, ფაქტობრივად, მათ ქართული ჯარის უფრო ეშინოდათ, ვიდრე ბოლშევიკური აგრესიის, რადგან ბოლშევიკური აგრესიიდან მომდინარე ადამიანები მათივე პარტიული განაყოფი იყო. მათთან უფრო მეტი რამ აერთიანებდათ, ვიდრე „ეროვნულ-დემოკრატებთან“, რომლებთანაც კლასობრივი ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული. ამიტომ ეროვნული ცნობიერების ადამიანები მათთვის კლასობრივი მტრები იყვნენ, ხოლო ბოლშევიკები მათთვის იყვნენ შეცდენილი ამხანაგები, რომლებთანაც რაღაც ფორმებში ვერ მორიგდნენ. ბუნებრივია, ყოველივე ეს აისახა მთელ მათ მოქმედებებზე.

გავიხსენოთ თუნდაც ცალკე აღებული რუსეთთან დადებული ხელშეკრულებები, ცალკე აღებული სხვა ნაბიჯები და საბოლოოდ მივედით კატასტროფამდე. როდესაც ბოლშევიკური არმია რამდენიმე მხრიდან უტევდა ჩვენს ქვეყანას, ქვეყნის შიგნით „სოციალ-დემოკრატიული“ მთავრობისგან დიპლომატიური ხელშეუხებლობის სტატუსით აღჭურვილი ბოლშევიკები ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ. სწორედ ჟორდანიას მთავრობამ მისცა მათ ამის უფლება, კიროვის რუსეთის თანამშრომლებს (რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების ელჩი იყო კიროვი) ხელშეუხებლობა ჰქონდათ და, შესაბამისად, აქტიურად ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას, პრესასაც უშვებდნენ და ა.შ.

— ალბათ, საოცარია, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეით დამუხტულ საქართველოში სწორედ „სოციალ-დემოკრატები“ დაწინაურდნენ და ეროვნულ ძალებს ამის შესაძლებლობა არ მიეცათ?

— „სოციალ-დემოკრატები“ იბრძოდნენ რუსეთის იმპერიის რეფორმირებისთვის, მაგრამ რუსეთის იმპერია რომ დაიშალა, ამ დაშლაში მონაწილეობა „სოციალ-დემოკრატებს“ არ მიუღიათ. თუმცა ყველაზე ძლიერი სუბიექტი, ისიც მეფის რუსეთის ხელშეწყობით, აღმოჩნდნენ ისევ „სოციალ-დემოკრატები“. შეიქმნა კავკასიის სამმართველო, ოზაკომი (Особыи закавказский комитет) ერქვა რუსული აბრევიატურით და ხელისუფლებაში მოვიდა რუსეთის დუმის კავკასიის წარმომადგენლობა, ანუ რუსეთის დუმის დეპუტატები. აქედან კიდევ პარტიები მიემატა და მიიღეს ის უმრავლესობა, რომელიც მათ ქვეყნის განვითარებისთვის კი არ გამოიყენეს, არამედ სოციალისტური კეკლუცობა და კაუცკისა თუ სხვა სოციალისტური ინტერნაციონალის წარმომადგენლებთან არარეალური ნაბიჯების გადადგმა დაიწყეს.

როდესაც უკვე ტრაგედია მოხდა და უფსკრულის წინაშე აღმოვჩნდით, ჟორდანიამ დაინახა, რომ ომის დროს ან ეროვნული ცნობიერების მქონე ადამიანები აიღებდნენ ინიციატივას, ძალაუფლებას ხელში, ან ბოლშევიკები უნდა შემოსულიყვნენ. პირველი ვარიანტი მათ არ აწყობდათ, მეორე ვარიანტი კი — ბოლშევიკების შემოსვლა მათთვის იქნებოდა ტრაგედია იმ კუთხით, რომ თავის სოციალ-დემოკრატ წევრებსაც არ ენდობოდნენ, რათა ისინი ბოლშევიკების მხარეს არ გადასულიყვნენ.

— პირველი ვარიანტი, ანუ ეროვნული ცნობიერების მქონე გენერალიტეტის ხელისუფლებაში მოსვლა ბევრად უკეთესი იქნებოდა.

— მაშინ უბრწყინვალესი გენერალიტეტი გვყავდა, მარტო მაზნიაშვილის და კვინიკაძის დასახელება რად ღირს. თუმცა ჟორდანიას მთავრობამ ბოლოს რაც გააკეთა, ეს მაინც დადებითად უნდა შევაფასოთ, რადგან რუსეთთან კაპიტულაციაზე მათ ხელი არ მოუწერიათ, ისე მიიღეს 21 თებერვალს კონსტიტუცია. მათ შეეძლოთ კონსტიტუციის მიღების გარეშე გაქცეულიყნენ, მაგრამ მომდევნო თაობებს დაგვიტოვეს ბრძოლის შანსი და მოტივი, რაც ჩვენმა თაობამ ძალიან კარგად გამოიყენა. ამიტომ ჟორდანიას მთავრობის შესახებ უარყოფითიც უნდა ვთქვათ და დადებითიც, უნდა შევაფასოთ მათი საქმიანობა და გამოვიტანოთ სწორი დასკვნა, როგორ არ შეიძლება ქვეყნის მართვა, როგორ არ შეიძლება სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ მუშაობა. არც ის შეიძლება, პარტიული იდეოლოგია მოახვიო თავს ქვეყანას. თუმცა ის, რომ ეს ადამიანები პატიოსნები იყვნენ და ბევრ მათგანს სამშობლო ძალიან უყვარდა, ესეც ფაქტია და ამას პატივი უნდა ვცეთ.

— ემიგრაციაში მყოფი ხელისუფლების შეცდომებზე ბევრს საუბრობენ. დავის საგანია, შეეძლოთ თუ არა მათ დამოუკიდებლობისთვის ბოლომდე ბრძოლა, როგორც ამას გენერალი გიორგი მაზნიაშვილი მოითხოვდა და საქართველოში შემოჭრილი მე-11 არმიის წინაღმდეგ ბრძოლის შეწყვეტას არ ეთანხმებოდა? თუმცა იმდროინდელმა ხელისუფლებამ მაზნიაშვილს უკან დახევა უბრძანა. ასევე, სადავოა,დაქსაქსული ემიგრაციის პირობებში შეეძლოთ მათ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის გარედან ბრძოლა?

— ემიგრაციიდან ბევრი რამის გაკეთება შესაძლებელი იყო და გაკეთდა კიდეც, მაგრამ, როდესაც ინიციატივა უკვე ხელიდან იყო გაშვებული, შეიცვალა საერთაშორისო ვითარება, საბჭოთა კავშირმა გაჭრა საერთაშორისო იზოლაციის ხაზი, ბუნებრივია, მერე ემიგრაციიდან რაიმეს გაკეთება შეუძლებელი იყო. მთელი უბედურება სხვა რამეშია, რომ შემდგომშიც ემიგრაციაში არ იყო ერთიანი ხაზი.

— გულისხმობთ იმას, რომ ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ?

— მთავრობა იქაც თავისი იდეოლოგიური პრინციპებით ცხოვრობდა და ვერ მოახერხა ემიგრაციის კონსოლიდირება, ვერ მოახერხა მჭიდრო კავშირის დამყარება ქართველ დისიდენტებთან. უკრაინელები, ლიტველები, ესტონელები, ლატვიელები, სომხები ემიგრაციაშიც კი აქტიურები იყვნენ, თავიანთ ხალხთან კავშირი არ გაუწყვეტიათ, ცდილობდნენ დაკავშირებას, დახმარებას... სამწუხაროდ, ქართულ ემიგრაციაში ასეთები მხოლოდ ერთეულები იყვნენ. წესით, „სოციალ-დემოკრატიულ“ მთავრობას უნდა მოეხდინა კონსოლიდირება, გადაეფასებინა თავიანთი შეცდომები.

— ამ გადასახედიდან ხომ არ ჯობდა, ჟორდანიას მთავრობის ნაცვლად, ისევ ეროვნულებს, გენერლებს აეღოთ ძალაუფლება?

— ჩვენზე ადრე ამაზე „ფიქრობდა“ რუსეთის ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს გარეგნულად „სოციალ-დემოკრატები“ და მეფის რუსეთის ხელისუფლება ერთმანეთთან სამკვიდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებულნი, საბოლოო ჯამში, მხოლოდ და მხოლოდ ილია ჭავჭავაძე აღმოჩნდა მოკლული. ორივე მათგანისთვის ილია ჭავჭავაძე, ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა, ეროვნული ხაზი იყო ყველაზე მეტად საშიში. ორივენი ებრძოდნენ ილია ჭავჭავაძეს, ეროვნული სულისკვეთების ადამიანებს. ვინ მოკლეს? დიმიტრი ყიფიანი მოკლეს. ვინ გადაასახლეს, ვის ებრძოდნენ? კირიონს, ამბროსის, რომლებიც ეროვნული ცნობიერებით იყვნენ გამსჭვალულნი. „სოციალ-დემოკრატებს“ გარეგნულად კი ებრძოდნენ, მაგრამ „სოციალ-დემოკრატები“ მაინც ერთიანი რუსეთის იდეის მქადაგებელნი იყვნენ და რუსეთის იმპერიისთვის ისინი არ მიიჩნეოდნენ დამანგრეველ მტრებად. ეს უფრო შიდა ბრძოლად განიხილებოდა.

— ამას თქვენ ქართველთა ფსიქოლოგიით ხსნით, რომ მათზე უკეთესს წინ არ გაუშვებენ?

— ზუსტად ეს იყო რუსული იმპერიალიზმის გამოვლინება — ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რაც დღესაც გრძელდება. ყველაზე მეტად ებრძოდნენ მერაბ კოსტავას, გია ჭანტურიას. პრობლემები შეექმნა ზვიად გამსახურდიას. ციხეებში აღმოჩნდნენ მარიამ ბაღდავაძე, თამარ ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი. საუბარია ეროვნული ცნობიერების ადამიანებზე, რომელთაც ძალუძდათ, ქვეყანა სწორი გზით წაეყვანათ. თორემ, რასაც ჩვენ დღეს ვუყურებთ, ეს არის ორი განაყოფის ბრძოლა ერთმანეთთან, ორივე ერთად კი ებრძვის ეროვნული ცნობიერების ადამიანებს...

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ასე ამბობდა უინსტონ ჩერჩილი

„მე არასოდეს! არასოდეს! არასოდეს არ დავნებდები!“

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

ფილოსოფიური გამოთქმანი

უკეთუ შეგიძლიათ თქვენი დღის უკოფეინოდ დაწყება, ხალისიანად ყოფნა და ტკივილისა თუ უქეიფობისთვის ყურადღების მიძინება, ჩივილისგან თავის შეკავება და თქვენი პრობლემებით ადამიანებისთვის თავის მოუბეზრებლობა, ყოველდღე ერთი და იმავე საზრდოს ჭამა და ამის გამო მადლიერება, საყვარელი ადამიანის გაგება, როცა თქვენთვის დრო არა ჰყოფნის, საყვარელი ადამიანისგან ბრალდების ერთ ყურში შეშვება და მეორეში გამოშვება, როცა საქმე ისე არ მიდის, რაც თქვენი ბრალი არ არის, კრიტიკის მშვიდად აღქმა, თქვენი საწყალი მეგობრის მიმართ ისევე მოქცევა, როგორც მდიდარს ექცევით, სიცრუისა და მოტყუებისთვის გვერდის ავლა, სტრესთან უწამლოდ ბრძოლა, უსასმელოდ მოდუნება, უაბებოდ დაძინება, გულწრფელად იმის თქმა, რომ წინასწარ შექმნილი ცუდი აზრი არა გაქვთ, არც კანის ფერის, არც რელიგიური რწმენის, არც სექსუალური ორიენტაციის პოლიტიკის მიმართ — მაშასადამე, თქვენი ძაღლის განვითარების დონისთვის მიგიღწევიათ და ეგ არის.

* * *

უკეთუ მტრები გყვანან, მაშასადამე, შენი თავით ამაყობა შეგიძლია, რადგან შენს ცხოვრებაში რაღაც ოდესღაც დაგიცავს.

* * *

საქმე ის კი არ არის, ფულიანი რომ ძალიან კარგად ცხოვრობ, არამედ საქმე ის არის, რომ უფულოდ ცხოვრება ძალიან ცუდია.

* * *

ნუ ღელავთ იმის გამო, ცდუნება როგორ აირიდოთ, წლებთან ერთად ის თვითონ აგერიდებათ.

* * *

ცხოვრების უდიდესმა გაკვეთილმა მასწავლა, რომ ხანისად სულელნიც კი მართალნი არიან.

* * *

როცა უსიამოვნებანი გერევიან, არ უნდა იგულმავიწყო, რომ ისინი იქნებ სულაც რამე უარესისგან გიცავენ და ხანისად საოცარ რასმე შეცდომას ბევრად მეტი სიკეთე მოაქვს, ვიდრე, ბევრის აზრით, ყოვლის უფრო გონივრულ გადაწყვეტილებას.

* * *

სიცრუე ყოველთვის წინ უსწრებს სიმართლეს, რამეთუ ამ უკანასკნელმა ქვედა თეთრეულის გამოცვლა უნდა მოასწროს მანამ, სანამ სადმე გაიქცეოდეს.

* * *

არც ერთი ვარსკვლავი არ აკიაფაციაგდება, ვიდრე არ მოიძებნება კაცი, რომელიც უკან შავ ტილოს არ დაიჭერს.

* * *

დანაშაულის უმაღლესი ფორმა— წარსულის ღალატია.

* * *

უვიცისთვის ყველაზე საყვარელი საქმიანობა ციტატების კრებულთა კითხვაა, რამეთუ მეხსიერებაში დალექილი ციტატები დიდებულ აზრებს შობენ.

* * *

გაცილებით უკეთესია ადამიანის მოსყიდვა, ვიდრე მოკვლა, და მოსყიდული თუ ხარ, ბევრად უმჯობესია, ვიდრე მოკლული.

* * *

მომავალი განუჭვრეტელია, იმედი წარსულმა უნდა ჩაგვინერგოს.

* * *

ქვეყნისთვის მძიმე დროებაში ძნელია მითების გადაჭარბებით შეფასება.

* * *

ცხოვრება ერთიანი რამ არის, იღბალიც, არც ერთი, არც მეორე ნაწილებად არ იშლება.

როცა არწივნი მდუმარებენ, ლაყბობენ თუთიყუშნი.

* * *

ცხოვრება გამოცანაა, რომელსაც სიკვდილის მერე ვიგებთ.

* * *

ერთი სასმისი შამპანური გვამხიარულებს, ნერვები დამშვიდებულია, წარმოსახვა სასიამოვნოდ აგზნებულია, გონება ბევრად მკვირცხლი ხდება, ერთი ბოთლი პირუკუ ეფექტს იწვევს.

* * *

ისტორიას გამარჯვებულნი წერენ.

* * *

გაპარსული ცხვრის გულისთვის ღმერთი ქარს ჩააყენებს ხოლმე.

* * *

მოუთმენლობა ახალგაზრდების სისუსტეა.

* * *

ხშირად უბედურება ძალასთან ერთდროულად მოდის, რომელი ძალის დაპირისპირებაც შეგვიძლია იმ უბედურებისთვის.

* * *

არ შეიძლება ისტორიის გაგება, თუ მუდმივად არ მივმართავთ იმ ხანგრძლივ პერიოდებს, რომელთაც დღენიადაგ ვაწყდებით ჩვენი საკუთარი ხანმოკლე ცხოვრების გამოცდილებით აღჭურვილნი. ხუთი წელიწადი ბევრია, ოცი წელიწადი ადამიანთა უმრავლესობისთვის ჰორიზონტია. ორმოცდაათი წელიწადი — ძველი დროა. იმის გასაგებად, თუ როგორ ზემოქმედებს ბედის დარტყმა ამა თუ იმ თაობაზე, უწინარესად საჭიროა თვითონ იმ თაობის მდგომარეობის წარმოდგენა, რომელ მდგომარეობასაც უნდა მივუყენოთ ჩვენი საკუთარი ცხოვრების სკალა. ამდაგვარად, თითქმის ყველა ცვლილება გაცილებით ნაკლებად საგრძნობია იმ ადამიანებისთვის, ვინც ჩვენ მიერ წარმოდგენილ მდგომარეობათა უშუალო მოწმეა, ვიდრე იმ ადამიანებისთვის, ვინც ჟამთააღმწერლის სახით მაშინ აწყდება იმათ, როცა ისინი უკვე ეპოქის დამახასიათებელ თვისებებად იქცნენ.

* * *

ზნეობრივი ძალა, ვაი რომ, ვერ შეცვლის შეიარაღებულ ძალებს, მაგრამ, გაძლიერების თვალსაზრისით, ძალიან საიმედო რამ არის.

* * *

წარსულის ხსოვნა ყოვლის უფრო უკეთესად ნაირ-ნაირ სუნს მოსდევს.

* * *

იმის ცდა, რომ ყველგან უსაფრთხოდ ვიყვნეთ, ყველგან უძალობას ნიშნავს.

* * *

დიდი დავიდარაბა არცთუ იშვიათად მცირედი საბაბსუბაბით ჩნდება, მაგრამ იმ დავიდარაბას საფუძვლად სულაც წვრილმანი რამ არ უდევს.

* * *

არა მგონია, რაკი თივაზე წევს, თუნდაც ძალიან დიდხანს, ძაღლს თივის დაჩემების უფლება ჰქონდეს.

* * *

ვაჟკაცობა ცუდ ვითარებათა წნეხქვეშ ღირსების შენარჩუნების ხელოვნებაა.

* * *

ვაჟკაცობა ის არის, როცა წამოგაყენებს და გალაპარაკებს; ვაჟკაცობაა აგრეთვე ისიც, როცა დაგსვამს და ყურს დაგაგდებინებს.

* * *

ყველა დიადი რამ სადაა და იმ დიადთაგან ბევრი რამის გამოხატვა ცალკეული სიტყვებით შეიძლება, ეს სიტყვებია თავისუფლება, სამართლიანობა, პატიოსნება, მოვალეობა, გულმოწყალება, სასოება.

* * *

სკოლას არცრა საერთო არა აქვს რა განათლებასთან, ეს კონტროლის ინსტიტუტია, სადაც ბავშვებს საერთო ცხოვრების ძირითად უნარჩვევებს უნერგავენ.

* * *

ჩვენ ვძენთ ჩვენს შენობებს ფორმას, მერე კი ფორმას ისინი გვძენენ, გვიმსგავსებენ.

* * *

დიდი და კარგი იშვიათად თავსდება ერთ ადამიანში.

* * *

ჯანსაღი მოქალაქენი ყოვლის უკეთესი აქტივია, რომელიც კი შეიძლება რომ ჰყავდეს ნებისმიერ ქვეყანას.

* * *

პრობლემა, რომელთა გადაწყვეტაც უხდება გამაჯრვებულს, ბევრად სასიამოვნოა, მაგრამ ბევრად მარტივი არ არის, ვიდრე ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც დამარცხებულს უხდება.

* * *

გოლფი ის თამაშია, რომლის დროსაც ძალიან პატარა ბურთულა ბევრად კიდევ უფრო პატარა ნახვრეტში უნდა ჩააგდო იმ ჯოხ-ჭაკუნით, ყველაზე ნაკლებად რომ შეეფერება ამ მიზანს.

* * *

მამაცთაგან უმამაცესთ ძალიან ხშირად ამაზრზენ ქვეშაფსიათაგან უქვეშაფსიები თავკაცობდნენ.

დასასრული. დასაწყისი იხ. №102-114

პარიზში მიგრანტთა ბანაკების ევაკუაცია დაიწყო

საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ ეს, 2015 წლიდან მოყოლებული, მიგრანტთა ბანაკების ევაკუაციის 35-ე შემთხვევაა. პარიზის პოლიციამ დაიწყო მიგრანტთა ერთ-ერთი უდიდესი ბანაკის ევაკუაცია. არსებული ინფორმაციით, მიგრანტები დროებით გადავლენ ასევე დროებით საცხოვრებელ ადგილებში პარიზსა და ილ-დე ფრანსის რეგიონში, სადაც მათი სტატუსის დადგენა მოხდება. მედიის ცნობით, ბანაკებში დაახლოებით 1700-მდე მიგრანტია.

ჯორჯ სოროსი „BREXIT“-ის წინააღმდეგ კამპანიას იწყებს

დიდ ბრიტანეთში ევროინტეგრაციის მომხრეები, მოძრაობა „Best of Britan“-დან, 9 ივნისს იწყებენ კამპანიას „Brexit“-ის მეორე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. ამის შესახებ განცხადება ამერიკელმა ფინანსისტმა ჯორჯ სოროსმა გააკეთა.

ამ დღეს, „Best of Britan“-ი გამოაქვეყნებს პროგრამის მანიფესტს. ჯორჯ სოროსმა აღნიშნა, რომ საბოლოოდ ბრიტანელებს მოუწევთ, გადაწყვიტონ რა სურთ და რა იქნება მათთვის უკეთესი. „ეს წარმოადგენს მოძრაობა „Best of Britan“-ის მიზანს, რომელსაც მე მხარს ვუჭერ“, — განაცხადა სოროსმა.

პუერტო-რიკოში ქარიშხალ „მარიას“ 4 645 ადამიანი ემსხვერპლა

ქარიშხალ „მარიას“, რომელიც პუერტო-რიკოს 2017 წლის სექტემბერში დაატყდა თავს, 4 645 ადამიანი ემსხვერპლა, თუმცა ოფიციალური მონაცემით, ამბობდნენ, რომ სტიქიის შედეგად 64 ადამიანი დაიღუპა. დასკვნა ჰარვარდის და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მკვლევარებს ეკუთვნით.

მეცნიერებმა 3 299 შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახლები გამოიკვლიეს, გამოკითხეს ადგილობრივები. მიღებული მონაცემები მეცნიერებმა პუერტო-რიკოში 2016 წლის სიკვდილიანობის მაჩვენებელს შეადარეს.

ხუროთმოძღვართა ვნების სიმაღლე სოფიის ტრიენალეზე...

არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიას ახალი იტალიელი პრეზიდენტი ჰყავს

ვახტანგ დავითაია ტრიენალეზე გამოსვლისას

ბულგარეთის დედაქალაქმა სოფიამ, ახლახან, მეთხუთმეტედ უმასპინძლა უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ ფორუმს – არქიტექტორთა მსოფლიო ტრიენალეს.

ტრიენალე მსოფლიო არქიტექტურის სამი წლის მონაგარის შეჯამებაა. საერთაშორისო ჟიური ავლენს საუკეთესო ნაწარმოებებს – პროექტებს, რეალიზაციებს, არქიტექტურულ წიგნებს, ჟურნალებს, ფილმებს, საუკეთესო სამაგისტრო დიპლომებს.

არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსებიც ერთობლივი გამოფენით აბარებენ „ანგარიშს“. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ასამბლეა – აკადემიის უმაღლესი ორგანო, სადაც პრეზიდენტი აჯამებს განვლილი სამი წლის მუშაობას.

არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ასამბლეაზე მონაწილეობის მისაღებად და ტრიენალეზე საავტორო გამოსვლისათვის მიწვეული იყო ამ აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვახტანგ დავითაია.

დღეს ბატონი ვახტანგი ჩვენი გაზეთის სტუმარია.

მსოფლიო არქიტექტურის დიდოსტატები...

– ბატონო ვახტანგ, რითი იყო აკადემიის ამჟამინდელი ასამბლეა და არქიტექტურის საერთაშორისო ტრიენალე – „ინტერარქ-2018“ გამორჩეული?

– წლევანდელი ასამბლეა არაორდინარული იყო – აკადემიის პრეზიდენტის პოსტი დატოვა გიორგი სტოილოვმა, ამ აკადემიის დამაარსებელმა, კაცმა, რომელიც 30 წელი ღირსეულად უძღვებოდა აკადემიას. – „მე არ მეგულება მსოფლიოში სხვა პიროვნება, რომელსაც იმდენი გაეკეთებინოს არქიტექტურისთვის, რამდენიც გააკეთა ბატონმა გიორგი სტოილოვმა. მან პოლიტიკოსებზე 10 წლით ადრე აწია „რკინის ფარდა“ და ერთმანეთს შეახვედრა დასავლეთის და აღმოსავლეთის, კაპიტალისტური და სოციალისტური სამყაროს არქიტექტორები“, ასე დავიწყე ჩემი საავტორო გამოსვლა, რასაც აპლოდისმენტები მოჰყვა... ბატონი გიორგის 90 წელი შეუსრულდა, საკმაოდ მხნედაა, მაგრამ მაინც წავიდა. თვითონ დაასახელა თავისი მემკვიდრე – ესაა გამოჩენილი იტალიელი არქიტექტორი – ამადეო შიატტარელლა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ დიდი სიბრძნეა „დროზე წასვლა“, წასვლა საკუთარი ნებით (სანამ გაგიტანენ). ბატონი გიორგი ესწრებოდა ტრიენალეს ყველა ღონისძიებას, კოლეგებს საშუალება ჰქონდათ, გამოეხატათ მისდამი გულწრფელი პატივისცემა. მან თავის გამოსამშვიდობებელ გამოსვლაში გაიხსენა მისი თანამებრძოლები, მსოფლიო არქიტექტურის კლასიკოსები, რომლებიც გვერდში ედგნენ ამ გრძელ გზაზე. წამოვაყენე წინადადება, რომ ამიერიდან „ინტერარქების“ უმაღლეს ჯილდოს – გრან-პრის, ეწოდოს გიორგი სტოილოვის სახელი. სესია ერთხმად დაეთანხმა ამ წინადადებას.

ასამბლეის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო აკადემიის წესდებაში ცვლილებების შეტანა. დამთავრდა 30-წლიანი ეპოქა – სტოილოვის ეპოქა. იცვლება დრო, მოთხოვნები. წესდებაში ბევრი ცვლილებები შევიდა, მათ შორის, აკადემიის პრეზიდენტი შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ორჯერ, ტრიენალეები ჩატარდეს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში და სხვ.

– ქართული არქიტექტურა როგორ წარმოდგა?

– მახსენდება სამი წლის წინანდელი „ინტერარქ-2015“ - ქართული არქიტექტურის ტრიუმფი. წარმატება კი ასეთი იყო: საკონკურსოდ წარმოდგენილი 80 სამაგისტრო პროექტზე ჟიურიმ გასცა 10 პრემია, აქედან 4 პრემია ერგო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს (თორნიკე აბულაძე, ანა ბიბილაშვილი, **სტუ**; მარეხ გიორგაძე, ნიკა ბოჭორიშვილი, **თსსა**). ეს უაღრესად შთამბეჭდავი შედეგი იყო.

პრემია მიენიჭა არქიტექტორ-რესტავრატორ მიხეილ გელაშვილს და კონსტრუქტორ ზურაბ გაჩეჩილაძეს – „მრავალძალის წმინდა გიორგის ტაძრის“ რესტავრაციისათვის.

ბულგარეთის არქიტექტორთა კავშირის პრემია მიენიჭათ არქიტექტორებს – ნ.აბაშიძეს, ო.ბერიანიძეს და ო.ვარდანაშვილს – რკინიგზის ვაგზალ „ბათუმი ცენტრალისათვის“.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის 90-წლიანი ისტორიის კატალოგი, რომელიც პროფესორ გ.მიქიაშვილის მრავალწლიანი შრომის შედეგია, აღინიშნა პრემიით.

პირველი პრემია მიენიჭა ჩემს ორ პროექტს – ხელოვნების ცენტრ „მთაწმინდას“ თბილისში (რეკონსტრუქცია-გაფართოება) და მემორიალს – „არა ომს“.

ჩემმა წიგნმა – „ვახტანგ დავითაია. არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკამ“, რომელიც კომპანია „მაგთის“, პირადად ბატონ გია ჯოხთაბერიძის პირმშოა, ორი პრემია მიიღო – არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიისა და ბულგარეთის არქიტექტორთა კავშირის.

აი, რატომ „მონათლეს“ ჩვენმა უცხოელმა კოლეგებმა 2015 წლის ტრიენალე „ქართული არქიტექტურის ტრიუმფად“.

წლევანდელ ტრიენალეს შეიძლება „იტალიური ტრიენალე“ ეწოდოს. პროექტებისა და რეალიზაციების ნომინაციაში 15 პრემიიდან 7 იტალიელ არქიტექტორებს ერგოთ, ხოლო არქიტექტურული წიგნების კონკურსის 4 პრემიიდან 2 იტალიელებმა დაიმსახურეს. რაც მთავარია, იტალიელები არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტთან ამადეო შიატტარელლასთან ერთად დაბრუნდნენ სამშობლოში.


ჰოანგ მინჰი (ვიეტნამი): ბამბუკის სახლი

ქართული არქიტექტურა „ინტერარქ-2018“-ზე მხოლოდ სამი პროექტით იყო წარმოდგენილი. ჩემი – „ხსოვნის ტაძარი თბილისში“, ნიკოლოზ აბაშიძის „მრავალფუნქციური ცენტრი“ და გივი გოგრიჭიანის „საცხოვრებელი კომპლექსი რთულ რელიეფზე“.

ჩემი პროექტი ლაურეატის დიპლომით და ვერცხლის მედლით აღინიშნა, ხოლო ნ.აბაშიძის და გ.გოგრიჭიანის პროექტმა აკადემიის სპეციალური დიპლომები დაიმსახურეს.

ტრიენალეზე მსოფლიოს დედაქალაქები და საელჩოები აწესებენ თავიანთ პრემიებს. ჩემთვის სიურპრიზი იყო ბულგარეთში აზერბაიჯანის საელჩოს პრემიის მინიჭება. და კიდევ უფრო დიდი სიურპრიზი აზერბაიჯანის ელჩის, ქალბატონ ნარგიზ გურბანოვას მობრძანება დაჯილდოების ცერემონიალზე, მისი უაღრესად თბილი სიტყვები ჩვენი ქვეყნისადმი. მან ბრძანა – მე არ შემეძლო, პირადად არ გადამეცა ეს ჯილდო ჩემი ქვეყნის სახელით ბატონ ვახტანგ დავითაიასთვის, ის ჩემი ქვეყნის უახლესი და უერთგულესი მეზობლის – საქართველოს წარმომადგენელია.

ახალი და ძველი პრეზიდენტები...

გივი გოგრიჭიანი. გამოვყოფ ორ ფაქტს: არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტის გიორგი სტოილოვის ამაღელვებელ გაცილებას პრეზიდენტის პოსტიდან, ახალი პრეზიდენტის არჩევას და ბატონ ვახტანგ დავითაიას გამოსვლას, მის საოცარ „მოფერებას“ უკვე ყოფილი პრეზიდენტისადმი. შთამბეჭდავი იყო მისი ფილმის წარდგინება, რომელიც, როგორც თვითონ აღნიშნა, შემოქმედებითი ანგარიშია აკადემიისა და კოლეგების წინაშე. ჩემთვის საამაყო იყო მოსმენა და ნახვა იმისა, თუ როგორ ორგანულ კავშირშია მის შემოქმედებაში ისტორია და თანამედროვეობა. აღფრთოვანება გამოხატეს უცხოელმა კოლეგებმაც. კმაყოფილი ვარ, რომ ჟიურის შეუმჩნეველი არ დარჩა რთულ რელიეფზე მშენებლობის პრინციპის ჩემი ძიებები.

ფილმის ავტორია განათლებული და დახვეწილი გემოვნების რეჟისორი, ბატონი ბექა ავარსკი.

– ვინ გახდა თბილისის პრემიის ლაურეატი ნომინაციაში „ტრადიცია და თანამდროვეობა?

– სამწუხაროდ, დიდად სამწუხაროდ, თბილისის მერიამ დააგვიანა განაცხადის გაგზავნა. ეს ნიშა „შეავსო“ ბულგარეთის არქიტექტორთა ასოციაციამ. პრემია მიენიჭა ვიეტნამელ არქიტექტორს ჰოანგ მინჰს ბამბუკის სახლისთვის. ეს ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი იყო ამ ტრიენალეზე.

სცენიდან გადავხედე დარბაზს. რა დრო გავიდა, რამდენი კორიფე ახსოვს ამ დარბაზს, ახლა კი გიორგი სტოილოვი, რიჩარდ ინგლანდი და მე აკადემიის უხუცესი წევრები ვართ...

ესაუბრა
რუსუდან ქობულია

პრომეთე, სათაფლია და ყუმისთავი – ალადინის მღვიმეები საქართველოში



ტელეკომპანია EURONEWS აგრძელებს რეპორტაჟებს საქართველოდან და მაყურებელს ძვეყნის ტურისტულ ღირშესანიშნაობებს აცნობს.

საინფორმაციო სააგენტო **„ნიუსპრესი“** გთავაზობთ ტელეჟურნალისტ კლაუდიო როსმინოს მორიგი რეპორტაჟის ტექსტურ ვერსიას, რომელიც საქართველოს მღვიმეებს – კარსტულ გამოქვაბულებს ეხება:

„ყუმისთავი დასავლეთ საქართველოში, ქუთაისიდან 20 კილომეტრში მდებარეობს და ქვეყნის ყველაზე საოცარ მღვიმედ ითვლება. გამოქვაბულთა ამ უზარმაზარი კომპლექსის უმცროს დად შეიძლება სათაფლიის მღვიმე ჩავთვალოთ, რომელშიც დინოზავრის კვალია შემონახული. მაგრამ ყველაზე ლამაზი მაინც პრომეთეს მღვიმეა: აქ თქვენ დატკბებით სტალაქტიტებით, სტალაგმიტებით, გაქვავებული „ჩანჩქერებით“ და მიწისქვეშა მდინარეებით. მღვიმეთა ლაბირინთი მიწისქვეშ ათეულ კილომეტრებზე გრძელდება. აბა, წარმოიდგინეთ: ეს კედლები 60 მილიონი წლის წინათ ჩამოყალიბდა!

ამჟამად ტურისტებისათვის გახსნილია ერთი კმ. სიგრძის მქონე ფართო დერეფანი, რომელიც 1984 წელს, როცა აღმოაჩინეს, მხოლოდ ძალიან ვიწრო გასასვლელს წარმოადგენდა.

ამირან ჯაბრიშვილი, სპელეოლოგი: **„მთლიანად ტალახით ვიყავით მოსვრილნი, როცა ამ დიდ მიწისქვეშა დარბაზში შემოვედით. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გარეთ გასვლას მოუთმენლად ველოდებოდით, რომ სხვა სპელეოლოგებისათვის სიხარული გაგვეზიარებინა“.**

პრომეთეს მღვიმის დათვალიერების ერთ-ერთი შთამბეჭდავი მომენტია მიწისქვეშა მდინარეში ნავით გასეირნება, რომლის მეშვეობით თქვენ გარესამყაროში დაბრუნდებით“, – ამბობს კლაუდიო როსმინო.

„EURONEWS“

თბილისური რეინკარნაციის ბრწყინვალება; დიდი ისტორიის მქონე ქალაქის აღორძინება

ინდური გამოცემა „The New Indian Sunday Express Magazine“ საქართველოს დედაქალაქის შესახებ კალპანა სუნდერის ავტორობით სტატიას აქვეყნებს, რომლის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით, გთავაზობთ:

თბილისი, რუსეთ-თურქეთს შორის მოქცეული საქართველოს დედაქალაქი, ერთობ ჭრელი, ეკლექტური არქიტექტურული სტილის შენობების მქონე ქალაქს წარმოადგენს – თანამედროვე მოდერნიდან დაწყებული, გოთიკით და ბაროკოთი დამთავრებული, საბჭოთა არქიტექტურის ჩათვლით. მართალია, მიწისძვრებით, შემოსევებით და საბჭოთა ოკუპაციით, ბევრი ძველი შენობა განადგურდა, დღეს თბილისი მაინც ამაყად დგას, თავისი წარსულით და აწმყოთი. ქალაქში მრავალი ძველი ნაგებობა რესტავრირდება, ხდება მათი გადაკეთება, გარდაქმნა. შემოქმედებითი მიდგომა მჟღავნდება ყველგან – საბჭოთა ერის ფაბრიკების, საწყობების და კიდევ სხვა გამოუყენებელი შენობების მიმართ, რომლებიც დღეს ბარებად, რესტორნებად, კულტურის ცენტრებად და ბუტიკებად წარმოჩინდება.

ქალაქში გასეირნებისას ქალაქის რეკონსტრუქციის ბევრ ფაქტს შეამჩნევთ. ერთ-ერთი ასეთი შენობაა „ფაბრიკა“, რომელიც საბჭოთა პერიოდში სამკერვალო საწარმოს შენობა იყო, დღეს კი გადაკეთებულია მდიდრულ ცენტრად დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მაღაზიებითა და კაფეებით. აქ ახალგაზრდები საღამოობით ერთმანეთს ხვდებიან და სასმელსაც სვამენ. შენობის სახურავზე ეწყობა გამოფენები, შოუები და იოგას მასტერ-კლასები.



ძველ ქალაქში შეხვდებით ქარვასლებს, რომლებსაც ადრე, აბრეშუმის დიდი გზის მოქმედების დროს, ვაჭრები საწყობებად და დასასვენებელ ადგილებად იყენებდნენ, ქარავნებითა და აქლემებით. დღეს ამ ძველი შენობებიდან რამდენიმე უკვე აღდგენილია. აქვეა თბილისის ისტორიული მუზეუმის შენობა, სადაც კუსტარული ნაწარმის გამოფენები ტარდება. მაღალჭერიანი სამსართულიანი შენობა შიგნიდან გრეხილი რკინით არის შეჭედილი და მნახველზე საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს.

კიდევ ერთი ასეთი აღდგენილი შენობაა კაფე „ლიტერა“ სოლოლაკში, რომელიც 1903 წელს ალ-დეკოს სტილით აშენებულ ნაგებობას წარმოადგენს. სახლი ადრე ქართველ მეცენატს და კონიაკის მაგნატს ეკუთვნოდა, ახლა ქართველ მწერალთა ორგანიზაციას ეკუთვნის. რესტორანთან, რომელიც ცნობილმა შეფ-მზარეულმა თეკუნა გაჩეჩილაძემ გახსნა, სილამაზით მომაჯადოებელი ბაღია, ქართველი მწერლების ბიუსტებით, სადაც საღამოს გატარება სასიამოვნოა.

„მაიდნის ბაზარი“ თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ძველი სავაჭრო ადგილია, ჯერ კიდევ მე-5 საუკუნიდან. დღეს „ბაზარი“ მიწისქვეშა სივრცეს წარმოადგენს, სადაც თიხის ჭურჭლები, ღვინოები და საიუველირო ნაწარმი იყიდება.

თბილისში ყველაზე მნიშვნელოვან რესტავრირებულ შენობად, ალბათ, ყოფილი საბჭოური საგამომცემლო სახლი უნდა ჩავთვალოთ, რომელიც 125-ნომრიან სასტუმროდაა გადაქცეული. მისი მფლობელი თემურ უგულავა 1930-იანი წლების ამერიკული ნიუ-იორკითაა შთაგონებული: სასტუმროში მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის დროინდელი თათებიანი აბაზანებია დამონტაჟებული და ხის იატაკია დაგებული.

თბილისში ახალ საქართველოს ნახავთ, წარსულით შეზავებულს. თბილისი ინახავს თავის წარსულს, მომავალს უმზერს და გარდაქმნის ტალანტს გვაჩვენებს. საქართველოს დედაქალაქს შეგიძლიათ, ინდოეთიდან თვითმფრინავით ეწვიოთ. ასევე მატარებლით, თუ სომხეთში და აზერბაიჯანში მოხვდებით.

„The New Indian Sunday Express Magazine“ (ინდოეთი)

თურქული და რუსული ვალუტები ეცემა, რა საფრთხე ელის ლარს?

საქართველოს მეზობელი ქვეყნების ვალუტები დევალვაციას განიცდიან. თურქული ლირა და ნაწილობრივ რუსული რუბლი თავქვე დაეშვნენ და გაუფასურების გზას დაადგნენ. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა თურქეთში, სადაც ლირას ვარდნას დიდი ინფლაცია მოჰყვა, თანდათან ძლიერდება ფინანსური კრიზისიც.

თურქული ლირა მარტის შუა რიცხვებიდან მოყოლებული დოლარის მიმართ 3,80-დან 4,60-მდე დაეცა. მერყეობს რუსული რუბლიც, რომელიც ამერიკულ ვალუტასთან შეფარდებით 63-ის ნიშნულზე ძლივს ინარჩუნებს პოზიციებს. მოსკოვში ჯერჯერობით უმკლავდებიან პრობლემებს, ხოლო ანკარაში უკვე პანიკის ნიშნებია. თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა თანამემამულეებს მოუწოდა დოლარები და ევროები ლირაში გადაახურდავონ და ამით შეეშველონ ფინანსური უფსკრულის პირას მყოფ ქვეყანას.

რა პრობლემებს შეუქმნის საქართველოს მეზობელ ქვეყნებში დაწყებული კრიზისი? ეროვნული ბანკის პრეზიდენტ **კობა გვენეტაძის** განცხადებით, სებ-ი ყურადღებით აკვირდება თურქული ლირის ირგვლივ არსებულ ვითარებასა და ინფლაციას ამ ქვეყანაში.

„ინფლაცია თურქეთში საკმაოდ მაღალია – 11% და როგორც ჩანს, კიდევ უფრო გაიზრდება. ეს გარკვეულწილად დააკომპენსირებს იმ უპირატესობას, რასაც თურქული ლირის გაუფასურება მისცემდა თურქული პროდუქციის იმპორტს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამას, საბოლოო ჯამში, საქართველოზე ძალიან დიდი გავლენა არ უნდა ჰქონდეს, – განაცხადა კობა გვენეტაძემ. – **თუ ჩვენ დავინახავთ, რომ ინფლაციის გადმოდინების საფრთხეა, მივიღებთ სათანადო ზომებს ამასთან დაკავშირებით“,** – დასძინა გვენეტაძემ.

გარკვეულწილად ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოსაზრებას ეთანხმება საბირჟო სფეროს ექსპერტი ვახტანგ ხომიზურაშვილი. მისი აზრით, ჯერჯერობით სახიფათო არაფერია, მაგრამ რეგიონის ქვეყნებში ვითარება საკმაოდ არამდგრადია და ამიტომ საფრთხე ნებისმიერ წუთს არის მოსალოდნელი.

„რეგიონული ვალუტები სავაჭრო ურთიერთობაში ნაკლებად მონაწილეობს. სავაჭრო კონტრაქტები ყველგან იდება დოლარსა და ევროში. რაც შეეხება უშუალოდ ფულად გზავნილებს, ამ კუთხით ნეგატიური გავლენა ნამდვილად მოსალოდნელია. თურქეთსა და რუსეთში ემიგრანტები ანაზღაურებას ადგილობრივ ვალუტაში – რუბლსა და ლირაში იღებენ, ამით ყიდულობენ დოლარს და აგზავნიან. აქედან გამომდინარე, რეგიონული ვალუტების შესუსტება ლარზეც იქონიებს გავლენას.

სხვა მხრივ საფრთხე არ გველოდება, ზაფხულის პერიოდში ტურისტული ნაკადი საკმაოდ აქტიურია. ერთი შეხედვით, საგანგაშო არაფერია, თუმცა სავალუტო ბაზარი ძალიან მერყევია, ნებისმიერ მომენტში შეიძლება სავალუტო კურსი შეტრიალდეს, რაც ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული.

ჩვენ უფრო მეტად შიდა ვითარებას უნდა მივაქციოთ ყურადღება, ვიდრე საგარეოს. იგი, პრაქტიკულად, ბევრს არაფერს ნიშნავს ჩვენთვის“, – აღნიშნა ხომიზურაშვილმა.

ჯერჯერობით ეროვნული ვალუტა სტაბილურობას ინარჩუნებს. კურსი კარგა ხანია, 2,44-2,48 დიაპაზონშია. რაც შეეხება ინფლაციას იგი 3%-იან სამიზნე მაჩვენებელზე დაბალია და მინიმუმ ზამთრამდე პირველადი მოხმარების პროდუქციაზე ფასების ზრდა მოსალოდნელი არ არის.

გეძა დანელია

◎ კლასიკური მუსიკა

თანამედროვე ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვარი

თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში შედგა კამერული ორკესტრის „თბილისის კონცერტინოს“ საიუბილეო საღამო, რომელიც კოლექტივის დაარსებიდან 30-ე წლისთავს მიეძღვნა.

„თბილისის კონცერტინო“ 1988 წელს კონსერვატორიის სტუდენტთა ორკესტრის ბაზაზე დააარსა ჩვენი დროის გამორჩეულმა ქართველმა კომპოზიტორმა და დირიჟორმა **შავლეგ შილაკაძემ**. დაარსების დღიდან ორკესტრს ჩატარებული აქვს ხუთასამდე კონცერტი როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ — გერმანიაში, ესპანეთში, შვეიცარიაში, ინგლისსა და შოტლანდიაში. ორკესტრთან ერთად სხვადასხვა დროს სცენას იყოფდნენ თანამედროვეობის დიდი ვარსკვლავები, ხოლო არაერთმა ქართველმა კომპოზიტორმა სწორედ „თბილისის კონცერტინოს“ ანდო საკუთარი ნაწარმოებების პრემიერა.

თავისი მდიდარი, ოცდაათწლიანი ისტორიის შესაჯამებლად ორკესტრის ამჟამინდელმა მთავარმა დირიჟორმა გიორგი შილაკაძემ საქართველოში იშვიათად შესრულებული ნაწარმოებები აირჩია.

პროგრამა გაიხსნა მე-20 საუკუნის დიდი უნგრელი კომპოზიტორის ბელა ბარტოკის დივერტისმენტით. კომპოზიტორმა ეს ნაწარმოები სულ რაღაც ორ კვირაში, 1939 წლის აგვისტოში დაწერა. მიუხედავად ამისა, დივერტისმენტი გამოირჩევა მუსიკალური კომპლექსურობით — ძირითადად გასართობ მუსიკასთან ასოცირებული დივერტის — მენტი ბარტოკმა გაიაზრა არაერთმნიშვნელოვანი, დრამატული კონტრასტებით სავსე ჟანრი, რაც კარგად წარმოჩნდა „თბილისის კონცერტინოს“ შესრულებაში. უნგრელი კომპოზიტორისთვის ტიპურ მოტორულ ენერგიასა და მძაფრ აქცენტებს უპირისპირდებოდა ინტენსიური ექსპრესიით შესრულებული ნელი ნაწილები, რის შედეგადაც მსმენელმა სრულად შეიგრძნო ის სასოწარკვეთა, რომელიც 1939 წლის ზაფხულში დაეუფლა ბარტოკს. დივერტისმენტი უნგრეთში დაწერილი უკანასკნელი ნაწარმოებია — 1940 წელს ბარტოკმა დატოვა საყვარელი სამშობლო და აშშ-ს შეაფარა თავი.

ღრმა დრამატულობითა და ტრაგიზმით გამოირჩევა სულხან ნასიძის კამერული სიმფონია, რომელიც მეორე ნომრად გაჟღერდა კონცერტზე. ქართული კამერულ- ინსტრუმენტული მუსიკის შედევრად აღიარებულ სიმფონიაში საოცრად ორგანულად ერწყმის ერთმანეთს თანამედროვე საკომპოზიტორო აზროვნებისთვის დამახასიათებელი ელემენტები და ეროვნული მოტივები. გიორგი შილაკაძემ მსმენელს შესთავაზა ემოციურად დატვირთული და, იმავდროულად, ინტელექტუალურად გააზრებული ინტერპრეტაცია კამერული სიმფონიისა, რის შედეგადაც სრულიად სამართლიანად დაიმსახურა მქუხარე ოვაციები.

კონცერტი დასრულდა ფრანსის პულენკის კონცერტით ორღანისა და კამერული ორკესტრისათვის, რომელიც ფრანგ კომპოზიტორს 1934 წელს „გასართობად“ შეუკვეთა პრინცესა ედმონდ დე პოლინიაკმა. მას სურდა, თავად შეესრულებინა შედარებით იოლი პარტია ორღანზე, რომელსაც თანხლებას კამერული ორკესტრი გაუწევდა. მიუხედავად იმისა, რომ პულენკისთვის არ იყო უცხო „მსუბუქი“ მუსიკის წერა, მან უარყო ეს იდეა და შექმნა, როგორც თავად აღნიშნავდა, „რელიგიურ მუსიკასთან მომიჯნავე“ ღრმა და სერიოზული ნაწარმოები. სწორედ იმ პერიოდში ერთ-ერთი უახლოესი მეგობრის სიკვდილმა კომპოზიტორი ქრისტიანული რელიგიისკენ მიაბრუნა, რამაც ასახვა საორღანო კონცერტის მუსიკაში ჰპოვა.

საზღვარგარეთ მოღვაწე წარმატებული ორღანისტის ელენე ჭელიძისა და „თბილისის კონცერტინოს“ უბადლო ინტერპრეტაციით საორღანო კონცერტმა რელიგიურ თემატიკაზე შექმნილი მუსიკისათვის დამახასიათებელი საზეიმო, ამაღლებული განწყობა შექმნა და მსმენელს სურვილი გაუჩინა, აპლოდისმენტების ფონზე არაერთხელ გამოეძახა სცენაზე როგორც სოლისტი, ისე დირიჟორი.

მქუხარე ოვაციები დაიმსახურეს ორკესტრის არაჩვეულებრივმა მუსიკოსებმაც, რომლებიც უკვე წლებია, მაღალ პროფესულ დონეზე ასრულებენ XVII-XXI საუკუნეების კამერულ-ინსტრუმენტულ და კამერულ-ორატორიულ ნაწარმოებებს. სწორედ მათი დამსახურებით შედგა არაერთი ქმნილების როგორც ქართული, ისე მსოფლიო პრემიერა; და სწორედ მათი დამსახურებით წარსდგა ღირსეულად 14 მაისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში შეკრებილ მსმენელთა წინაშე „თბილისის კონცერტინო“, როგორც თანამედროვე ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვარი.

ნინო ჟვანია
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

პურისა და ღვინის ფესტივალი დედოფლისწყაროში

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებით დედოფლისწყაროში მთელი კვირის განმავლობაში მრავალფეროვანი ღონისძიებები გაიმართა.

ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქართველ კომპოზიტორთა საღამო. პედაგოგებმა და მოსწავლეებმა შეასრულეს ცნობილი ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები; დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიხსნა ფოტოგამოფენა „ძველი და ახალი დედოფლისწყარო“; დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე შედგა ამხანაგური მატჩი მინი-ფეხბურთში და კახეთის საფეხბურთო ჩემპიონატი 2007-2008 წლებში დაბადებულებს შორის; რუსთაველის ქუჩაზე მოეწყო მხატვრების გამოფენა, ხალხური რეწვისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, გამოფენა **„წარმოებულია დედოფლისწყაროში“**. ჩატარდა ტრადიციული **„პურისა და ღვინის ფესტივალი“**.

მუნიციპალიტეტის სოფლების და ქალაქის სპეციალურად გამზადებულმა სუფრებმა ჟიურის წევრების დიდი მოწონება დაიმსახურეს. ნომინაციაში „შოთის პური“ (შეშაზე გამომცხვარი) პირველი ადგილი დაიკავა ქალაქ დედოფლისწყაროელმა **ელგუჯა ცისკარაულმა,** ნომინაციაში „კახური ღვინო თეთრი“ პირველ ადგილზე გამოვიდა დედოფლისწყაროელი **თემურ ოზბეთელაშვილი**. ისინი დედოფლისწყაროს მერმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა** დააჯილდოვა სპეციალური სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით. ასევე სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა სპორტულ და კულტურულ სფეროში მოღვაწე ახალგაზრდებს.

კულტურის სახლში გაიმართა გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმოქმედი კოლექტივები, ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები.

კულტურული ღონისძიება მოამზადეს და ორგანიზება გაუკეთეს კულტურის ცენტრის მმართველმა **ნონა ჯიბღაშვილმა** და მისმა პროფესიონალმა თანამშრომლებმა **მაია ბოსტაშვილმა, ლია მაისურაძემ** და სხვებმა.

დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი სახალხო ზეიმი დასრულდა დისკოთეკით და ფეიერვერკით.

ნანა ჭიჭინაძე

საღ, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1921 წლის 21 მაისს, საქართველოს ოკუპაციიდან მესამე თვეს, ოკუპანტ რუსეთის სფსრ-სა და ოკუპირებული საქართველოს სსრ-ს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება.

1886 წლის 24 მაისს მოსწავლე იოსებ ლაღიაშვილმა უსამართლო ქმედებისთვის მოკლა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, შოვინისტი ჩუდეცკი. ჩუდეცკის დასაფლავების დღეს ეგზარხოსმა პავლემ დასწყევლა ქართველი ერი. აღშფოთებულმა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა ეგზარხოსს საპროტესტო ღია ბარათი გაუგზავნა. დიმიტრის ეს არ აპატიეს, თავმჯდომარეობიდან გადააყენეს და სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც ის მთავრობის აგენტებმა მოკლეს.

1453 წლის 29 მაისს თურქებმა სულთან მეჰმედ II-ის (1451-1481 წ.წ.) მეთაურობით ბოლო მოუღეს ბიზანტიის იმპერიას — დაიპყრეს მისი დედაქალაქი კონსტანტინეპოლი.

1555 წლის 29 მაისს ქალაქ ამასიაში ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, რომლითაც დამთავრდა ამ ქვეყნებს შორის 40-წლიანი ომი. ამასიის ზღვის მიხედვით ქართლი და კახეთის, ასევე სამცხის აღმოსავლეთი ნაწილი ირანმა ირგუნა, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამხრეთის დასავლეთი ნაწილი — ოსმალეთმა.

1431 წლის 30 მაისს ერესის ბრალდებით კოცონზე დაწვეს ინგლისის წინააღმდეგ საერთო-სახალხო ბრძოლის მეთაური, 16 წლის გლეხის ქალი, ორლეანელი-ქალწულით სახელდებული ჟანა დარკი,

რომელმაც ორი წლით ადრე — 1429 წლის 8 მაისს სახალხო ლაშქრით ინგლისელთა ალყისგან გაათავისუფლა ქალაქი ორლეანი, რასაც სხვა დაპყრობილი ფრანგული ქალაქების გათავისუფლება მოჰყვა.

1223 წლის 31 მაისს შავ ზღვაში ჩამავალ პატარა მდინარე კალკის (დღეს — კალკაჩაი) მარჯვენა ნაპირზე მოხდა პირველი დიდი ბრძოლა მონღოლებსა და რუს-ყივჩაღთა შორის, სადაც მონღოლებმა რუსებს სძლიეს. იქ 10 ათასი მარტო კიეველი მებრძოლი დაიღუპა. მონღოლებმა ჯუბეს და სუბედეს სარდლობით მარჯვედ გამოიყენეს როგორც მონღოლთა სტრატეგიისა და ტაქტიკის თავისებურებანი, ისე მოწინააღმდეგეების სისუსტე და დაბნეულობა.

◎ წინ, საქართველოვ!

ლევან გორგაძის ამაღლება

ტოჩინოშინი ოძეკი უკვე ოფიციალურად გახდა. 30 წლის ქართველი სეკიტორის დაწინაურების ამბავი გუშინ იაპონიის სუმოს ასოციაციის დირექტორთა საბჭომ დაადასტურა.

ოძეკიდ ნათლობის რიტუალის დროს ლევან გორგაძემ, ტრადიციისამებრ, სატიტულე ფიცი დადო და თქვა, რომ ღირსეულად დაიცავს აღნიშნულ წოდებას და თავდაუზოგავად ივარჯიშებს, რათა სანიმუშო მებრძოლი და სხვა რიკიშებისთვის მისაბაძი მაგალითი გახდეს.

2018 წლის სამ ბაშოზე ლევან გორგაძემ 45 ბრძოლიდან 37 მოიგო და 8 წააგო. იანვრის სუპერტურნირზე „იმპერატორის თასს“ დაეუფლა. მაისის ბაშო კი მეორე ადგილით დაასრულა.

ტოჩინოშინი მესამე ევროპელი ოძეკია, ბულგარელი კოტოოშუსა და ესტონელი ბარუტოს შემდეგ. ამ წოდებაზე მაღლა სუმოს იერარქიაში მხოლოდ იოკოძუნას წოდებაა, რომელიც ევროპელთათვის მიუღწეველია. ქართველ სეკიტორის უმაღლესი მწვერვალის დასაპყრობად ზედიზედ ორი ბაშოს მოგება სჭირდება, თუმცა, შეიძლება, იოკოძუნა ამ ნორმატივის შესრულების გარეშეც გახდეს.

მომდევნო სუპერტურნირი ივლისში გაიმართება.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

ბასკური გაზაფხული

თორნიკე შენგელიას „სასკი ბასკონია“ ესპანეთის ლიგა ენდესას ნახევარფინალშია. ბასკებმა მეორე მატჩიც მოუგეს „უნიკახას“ და სერია მშრალად დაასრულეს — 2:0.

მალაგაში გამართული შეხვედრის ბედი პირველივე პერიოდში გადაწყდა, როდესაც „ბასკონიამ“ 16 ქულიანი უპირატესობა მიიღო. მოპოვებული ფორა სტუმრებს თამაშის ბოლომდე არ გაუშვიათ ხელიდან და საბოლოო წარმატებასაც უწიეს — 80:64.

თორნიკე შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და პარკეტზე 18 წუთიც გაატარა. ხსენებულ დროში ჩვენებურმა 8 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. თორნიკემ 8-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, ხოლო 1 საჯარიმო ააცილა. მარგი ქმედების კოეფიციენტმა 13 შეადგინა და ამ მხრივ თანაგუნდელთა შორის მხოლოდ მარსელო უერტასს ჩამორჩა (24).

ასევე სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა გიორგი შერმადინი, რომელიც „უნიკახას“ რიგებში ერთ-ერთი საუკეთესოც გახლდათ. ქართველმა ცენტრმა 20 წუთში 11 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა დააგროვა. საგულისხმოა, რომ გიორგიმ შეტევაში უშეცდომოდ ითამაშა: 3-დან 3 ორქულიანი და 5-დან 5 საჯარიმო ჩააგდო! მარგი ქმედების კოეფიციენტით იგი თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო — 18, მთლიანად შეხვედრაში კი უკვე ნახსენებ უერტასს ჩამორჩა.

„ბასკონია“ კი ლიგა ენდესას ნახევარფინალში ზედიზედ მესამედ ითამაშებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილმა ფეისბუქი გააუქმა
საწუხარ არს ესე

საქართველოს ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა როლან გაროსის პირველ წრეში ფრანგ ჟილ სიმონთან 4:6, 0:6, 7:6, 4:6 დამარცხების შემდეგ რამდენიმე საათში თავის ვერიფიცირებულ ფეისბუქზე პოსტი დადო, სადაც საკუთარი ფეისბუქის გვერდის გაუქმების შესახებ საუბრობდა.

„მეგობრებო, მოგესალმებით. იდეაში ამ გვერდის შექმნის მიზანი იყო, რომ ინფორმირებული ყოფილიყავით ჩემი სპორტული კარიერის შესახებ და ჩოგბურთი საქართველოში უფრო პოპულარული სპორტის სახეობა გაგვეხადა. სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ გვერდს ჩემთვისაც და გულშემატკივრებისთვისაც მეტი პოზიტივი მოეტანა, სანაცვლოდ ძალიან დიდი ნეგატივი მივიღეთ. მე პირადად დროდადრო მიწევს გვერდის თვალის დევნება და ჩემზე ფსიქოლოგიურად ძალიან ცუდად იმოქმედა. მივიღეთ გადაწყვეტილება და გვერდს ვხურავთ. დიდი მადლობა ჩემს ნამდვილ გულშემატკივრებს და წარმატებები წინ არის“, — განაცხადა ბასილაშვილმა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კიმონო ჩვენი მღელვარებისა

კიდეც ჭრიან, კიდეც კერავენ

როცა სადავო სიტუაციაში კომისია იქმნება, ვითარების განსამუხტავად მას, უპირველესად, ნეიტრალური პოზიციის დაჭერა და მხარეებისათვის საკუთარი არგუმენტების დასასაბუთებლად თანაბარი პირობების შექმნა მართებს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნულ ფაქტორსაც, ანუ აღნიშნული საშუამავლო რგოლის შემადგენლობასა და, მეტადრე, მისი თავკაცის ავტორიტეტსა და სიტყვის წონას.

ეს ანბანური ჭეშმარიტება თითქოს ყველას მოეხსენება, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, აბანოსი არ იყოს, თეთრი და შავიც მაშინ გამოჩნდება.

მოკლედ, რამდენადაც მარტივად გვეჩვენება ოქროს შუალედის პოვნა, რეალობაში იმდენად რთულია ბეწვის ხიდზე ღირსეულად გავლა და ისეთი გამოსავლის მოძიება, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფური.

ახლა კი, მოდით, ასეთი შესავლის შემდეგ ძირითად სათქმელზე — ქართულ ძიუდოში შექმნილი ჩიხური აწმყოს მოსაწესრიგებლად საზოგადოების ცნობადი სახეებით დაკომპლექტებული იმ კომისიის განაჩენი განვიხილოთ, რომელსაც საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი, ყოფილი წყალბურთელი მიხეილ გიორგაძე თავკაცობდა. საამისოდ, უმჯობესია ჯერ მის მიერ მასმედიასთან გაკეთებულ განცხადებას გავეცნოთ: **„ყველა დოკუმენტი შედარებულია. ერთ-ერთ საბუთში, რომელიც მწვრთნელთათვის სტიპენდიის გაყოფას ეხება, „წარმოება არ იყო სწორად გაკეთებული“ და ფედერაციას შესაბამის რეკომენდაციას ვაძლევთ. ბუნებრივია, ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი გუნდის წევრთა ჩავარდნაზე პასუხისმგებლობა ფედერაციის პრეზიდენტსაც ეკისრება და ეს შეცდომა დავით ქევხიშვილმა აღიარა კიდეც. შესაბამისად, ფედერაციის ვალდებულებაა ახალი სამწვრთნელო შტაბის შექმნაც. საბოლოო ჯამში ქევხიშვილის გადაყენების აუცილებლობას ვერ ვხედავ. ვითარების დასარეგულირებლად ორივე მხარეს მოვუწოდებ, დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან, რათა ისე დავგეგმოთ საწვრთნელი პროცესი, რომ ბიჭები კარგად მოემზადონ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებისთვის“.**

კეთილი და პატიოსანი, ბატონო მინისტრო — თქვენი განცხადების მეორე ნაწილს თამამად შეგვიძლია, ვუწოდოთ მშვიდობის მომხრის გულისთქმა, მაგრამ თავს უფლებას ვაძლევ, მინც გკითხოთ: რაში გამოიხატება ის პასუხისმგებლობა, რომელიც ისრაელში გამართულ ფორუმზე ტატამის ქართველ დიდოსტატთა ფიასკოს გამო ფედერაციის პრეზიდენტსაც ეკისრება? მართლა გგონიათ, რომ კეისრისათვის კეისრის მისაგებად ნაკრების თავკაცის ირაკლი ცირეკიძისა და მის თანაშემწეთა მოხსნა საკმარისია? მითუმეტეს მაშინ, როცა მთლად წესრიგში არც ყველა საბუთი ყოფილა, რასაც თქვენც ადასტურებთ — „წარმოება“ არ იყო სწორად გაკეთებულიო!..

ასე რომ, კაცს ენა ვერ მოგიბრუნდება, დაასკვნა: სამართალმა პური ჭამაო. თუ პირადად ჩემი რეცეპტი გაინტერესებთ, პირდაპირ მოვჭრი: თავმოყვარე პრეზიდენტი თვითონ შეელეოდა თანამდებობას. თუმცა, ზნეობას ყველას ერთნაირად ვერ მოსთხოვ.

გია პლატონიშვილი

◎ სეზონის შემდეგ

ლევანდოვსკი „ბაიერნს“ ტოვებს

რობერტ ლევანდოვსკი მიუნხენის „ბაიერნს“ ტოვებს. ეს ინფორმაცია პოლონელი ფორვარდის აგენტმა პინი ზაჰავიმ Sport Bild-თან საუბარში დააანონსა. აგენტის თქმით, მის კლიენტს ახალი გამოწვევა სჭირდება.

„ლევანდოვსკის მოტივაცია დაკავშირებული არაა ფულთან ან რომელიმე კონკრეტულ გუნდთან. უბრალოდ, მსოფლიოში გამორჩეული ფორვარდის შეძენა ყველა დიდ გუნდს სურს. რობერტი გრძნობს, რომ კარიერაში ახალი გამოწვევა სჭირდება და ამის შესახებ „ბაიერნის“ ხელმძღვანელობა უკვე ინფორმირებულია“, — აღნიშნა ზაჰავიმ.

ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას 30 წლის შემტევი. შეგახსენებთ, რომ ლევანდოვსკი „ბაიერნს“ 2014 წელს „დორტმუნდიდან“ შეუერთდა და 194 შეხვედრაში 151 გოლის გატანა მოახერხა.

გიორგი ზოთაძე

სანთელი

ბორის იმნაძის ხსოვნა

ოჯახის, მეგობრების სიყვარულსა და ქვეყნის ერთგულებაში დაფერფლილი სიცოცხლე

ერთი წელია, ყველას წინაშე ვალმოხდილი და პირნათელი ზეციურ საქართველოში გადაბარგდა. ახლა ვიგრძენით მოყვარეზე მზრუნველი ადამიანი. უღალატო კოლეგა, მუდამ მშვიდი, უთქმელი, უწყინარი ადამიანი, შესანიშნავი პიროვნება და კეთილშობილებით სავსე, მაღალი ინტელექტისა და ერუდიციის მქონე, სანიმუშო მეუღლე, მამა და პაპა, თავაზიანი, უაღრესად მოკრძალებული — ასეთი დაამახსოვრდა იგი კოლეგებს, მოწაფეებსა და ახლობლებს. შენ ხომ ტოლი არ გყავდა მეგობართა სიყვარულში, საქმის ერთგულებაში. შენ კაცურ თვისებებს და ძირძველ ვერელობას უბრალოება, მოკრძალება და რიდი ახლდა.

მუდამ სიკეთესა და სათნოებას თესავდა, სიტკბოსა და სითბოს აფრქვევდა, სიამოვნებას გვანიჭებდა და ამას აკეთებდა არა თავის გამოსაჩენად და წარმოსაჩენად, არამედ ალალი გულის წადილით, გულისთქმათა კარნახით.

ილია მართალი გვმოძღვრავდა, რომ ხალხის სიყვარული საქმეში იკითხება, ცხოვრების გზაზე შენი სწორად გადადგმული ნაბიჯებით, შენი ნიჭით, ქვეყნის საკეთილდღეოდ დახარჯული შრომით, კამკამა სინდისით იზომება და არა გულზე მჯიღის ცემითა და საქართველოს ფეხზე წამომდგარი სადღეგრძელოთი. სულხან-საბას უთქვამს „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანიო“. ამ დევიზით იცხოვრა ბორისმა, ამ გრძელი არშინით უზომია თავისი და სხვისი კაცობის სიმაღლე.

„რამდენი ჩვენგან
წასული კაცის
ვერ გადავიხდით
ვერასდროს ამაგს,
მაგრამ ის ერთი
სხვა იყო მაინც,
კაცი, რომელიც
დააკლდა ქალაქს“.

სიკეთითა და გულით გამორჩეული ადამიანის ცხოვრებით იცხოვრა, იყო სტუ-ს ცნობილი პროფესორი, რუსული ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ჟურნალ „განათლების“ რედაქტორი, 200-მდე შრომის, რუსული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკის ავტორი. მუშაობდა ჟურნალისტიკამცოდნეობის აქტუალურ საკითხებზე, რომელთაგან ათამდე სახელმძღვანელოა. მისი ხელმძღვანელობით არაერთმა მაგისტრანტმა და დოქტორანტმა დაიცვა დისერტაცია.

ცრემლითა და დარდით ვიხსენებთ ჩვენს მეგობარს, რომელიც ამ ქვეყანას 85 წლისა განეშორა, შენს შვილიშვილებს, რომლებზედაც მზე და მთვარე ამოგდიოდა, არასდროს დაავიწყდები, ალალი იყოს მათი უმანკო ცრემლი შენთვის!

„ცრემლი არის უხმო“, ბრძანებს სულხან-საბა ორბელიანი, „ცრემლი მწუხარების შვილია“, დიდ მწიგნობარს ეხმაურება დიდი ილია მართალი და იქვე დასძენს „არ გვგონია ამ ცრემლზე უტკბესი რამ იყოს ქვეყანაზედ, როცა ჰჟონავს ბედნიერებისა და სიხარულის ნამეტანობისაგან“. ამ გამონათქვამის შეჯერებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცრემლი ერთნაირი მდგომარეობით გამოხატავს მწუხარებასაც და სიხარულსაც. შენ წასვლას იმქვეყნად თან ახლდა ცრემლი, რადგანაც „ადამიანის გულს არაფერი არ აძლევს ისეთ შვებას, როგორც გულამოსკვნილი ტირილი (ჰალდერ ლაქსენსი). საბედნიეროდ, შენთან ურთიერთობა მაინც გრძელდება, რადგან ამ ურთიერთობაში დიდი სევდა, მონატრება, სიყვარული და მოგონებაა.

მოგონება ერთადერთი სამოთხეა, საიდანაც ვერავინ გაგვაგდებს, მოგონების უნარი უფლის საჩუქარია, მოგონება მორწმუნის ლოცვას ჰგავს, რაც უთქმელადაც შვებას გვგვრის. მადლობა უფალს, რომ ეს სიმართლეა.

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული!

სული ერთადერთია ადამიანში, რომელიც კაცის სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს ცხოვრებას... სოკრატე ბრძანებდა: „სული ყველაზე მეტად წააგვს ღვთაებრივს, უკვდავს, ერთსახოვანს, გონით საცნაურს, უშლელს, მარადის უცვლელს და თავისთავადს“.

მეც მჯერა სულის უკვდავებისა; მეც მჯერა რომ ბორისის სული დღესაც ჩვენთან არის, თავს დასტრიალებს ოჯახს და საყვარელ ადამიანებს. ჩვენი სიხარულით ხარობს და ჩვენს ტკივილსაც ჩვენთან ერთად განიცდის. სარწმუნოა, რომ ხშირად, როცა ჩვენ რაიმე განსაკუთრებულ სითბოს და სიყვარულს ვგრძნობთ, ეს ჩვენგან წასული ახლობლის სულის ქმედებაა, გავიხსენოთ მიხეილ ჯავახიშვილი: „სამყაროში ყველაზე მშვენიერია ჩვენი მნათობი, მის ზედაპირზე — ადამიანი, ადამიანში კი — მისი სული“... მამაზეციერმა ინებოს ბორისის ლამაზი სულისა და მისი ოჯახის წევრების ერთად ყოფნა მრავალჟამიერ.

აქ გამახსენდა უკვდავი ვაჟას კითხვა — მაშ კარგ ყმად ვინ ვთქვათ ვაჟებო?

„აი, ვინაა კაი ყმა
მოსაგონარი ქებითა“.

დიახ! კარგი ყმა იყო ბორისი, ნადირობის ტრფიალი, რჩეული რჩეულთა შორის, თხემიდან ტერფამდე ქართული ცნობიერების კაცი.

უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი ცათა შინა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ამინ!

შენი ლამაზი სულისთვის მლოცველი ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების სახელით

პროფესორი

გურამ გაფრინდაშვილი.

საქართველოში 2018 წლის პირველი 4 თვის განმავლობაში 5210 დანაშაული აღირიცხა

საქსტატი შსს-ზე დაყრდობით დანაშაულის სტატიტიკას აქვეყნებს. მონაცემების 2018 წლის პირველი 4 თვის განმავლობაში საქართველოში რეგისტრირებულია 5210 დანაშაული, აქედან 1237 (23.74%) გახსნილია. აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი — 243 საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით არის აღძრული.

ასევე საქსტატის ინფორმაციით ოჯახში ძალადობის 508 შემთხვევიდან გახსნილია 253. ასევე დაფიქსირდა გაუპატიურების 9 შემთხვევა. რომლისგანაც გახსნილია — მხოლოდ 1 დანაშაული.

რაც შეეხება ქურდობას, აღრიცხულია 1428 შემთხვევა, რომლისგანაც გახსნილია — 240. ყაჩაღობას, 22 შემთხვევიდან კი გახსნილია 12.

ავარიის შემთხვევა კი ამ წლის პირველ ოთხ თვეში 500-ს შეადგენს.

სანთელი

მეუღლე ელზა გუგუშვილი, შვილები მარინე, ირაკლი, შვილიშვილები მიმი, ლუკა, დათუნა, ნოდარი, რძალი ხათუნა ნაჭყებია, სიძე თეიმურაზ ბარბაქაძე, ლეილა, ლუცინა გუგუშვილები, გიორგი ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სერგო ქასრაშვილი

დაკრძალვა 2 VI, 14 საათზე. მისამართი: ნუცუბიძის III მ/რ, I კვ., მე-13 კორპუსი.

ვახტანგ გორგასლის ძეგლის გაწმენდის სამუშაოები იწყება

„თბილსერვის ჯგუფი“ ძველი თბილისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ძეგლის გაწმენდის სამუშაოებს იწყებს. სამუშაოები 3 ივნისამდე გაგრძელდება.



ძეგლი ისტორიული შენობების გასაწმენდი სპეციალური ხსნარით გაიწმინდება.

სამუშაოებს „თბილსერვის ჯგუფი“ და კომპანია MAISTANBUL-ი განახორციელებს. სამუშაოების ფარგლებში ძეგლი ნაჭრით შეიფუთება, რათა მოსახლეობას გადაადგილების პრობლემა არ შეექმნას.

კომპანია MAISTANBUL-ის ხსნარით მსოფლიოს მასშტაბით არაერთი კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი გაწმენდილა, მათ შორის არის ლუვრის მუზეუმი პარიზში და პრეზიდენტის სასახლე თურქეთში.

ახალწვეულებმა სამხედრო ფიცი დადეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს ახალწვეულებმა სამხედრო ფიცი დადეს. ღონისძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი მიხეილ მერაბიშვილი და სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ობიექტების დაცვის მთავარ სამმართველოში ახალწვეულები ერთწლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს გაივლიან. შესაბამისი წვრთნების შედეგად, ისინი სამხედრო საქმიანობას შეისწავლიან და პროფესიულ უნარ-ჩვევებს შეიძენენ. სამხედრო ფიცის დადების შემდეგ, ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსმა წარჩინებულ სამხედრო მოსამსახურეებს მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის მადლობის სიგელები გადასცა.

ღონისძიებას ახალწვეულების ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

ყაზბეგის ეროვნულ პარკში ვიზიტორთა ცენტრი გაიხსნა

„ვიზიტორთა ცენტრი სტეფანწმინდაში გამორჩეული ადგილი იქნება“, — აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ყაზბეგის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის შენობის გახსნის ღონისძიებაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველად, ახალ შენობაში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრიც განთავსდება.

ცენტრში ტურისტები დეტალურ ინფორმაციას მიიღებენ პარკის ბიომრავალფეროვნების და ტურისტული სერვისების შესახებ.

„ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლებთ ტურიზმის ადმინისტრაციასთან. ახალ ცენტრში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ ჩვენი თანამშრომლები საუკეთესოდ მოემსახურონ ვიზიტორებს და საქმიანობა მაღალ დონეზე შეასრულონ. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა დაცული ტერიტორიების საზღვრების დაზუსტებაზე. ასევე იგეგმება ადამიანური რესურსის გაზრდა იმისათვის, რომ პარკის ადმინისტრაციამ დაკისრებულ ამოცანებს თავი წარმატებით გაართვას; დამატებით გვეყოლება რეინჯერები. ასევე გვინდა პატარა მუზეუმის გახსნა, რომელიც იქნება საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც ვიზიტორებს საშუალება მიეცემათ, გაეცნონ იმ ბიომრავალფეროვნებას, რომლითაც ასეთი ამაყები ვართ“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ყაზბეგის ეროვნული პარკი არის უნიკალური ეკოსისტემა, რომელსაც სჭირდება სათანადო დაცვა და სათანადო პოპულარიზაცია.

ყაზბეგის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის შენობა გერმანიის მთავრობის და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) მხარდაჭერით აშენდა. პროექტის განხორციელება საკონსულტაციო ჯგუფმა (GFA) უზრუნველყო. პროექტის ღირებულებამ 793 450 ლარი შეადგინა.

აფხაზეთის მთავრობა 80 წლის იუბილეს ულოცავს სასიქადულო მამულიშვილს, ცნობილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ

ნაპოლეონ (ნაპო) მესხიას

და უსურვებს მას ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს.

გიო ხუციშვილს ვარსკვლავი გაუხსნეს

თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ მომღერალ გიო ხუციშვილის ვარსკვლავი გაიხსნა. ვარსკვლავი მომღერალთან ერთად ბიძინა ივანიშვილმა გახსნა.

ვარსკვლავის გახსნამდე კი თბილისის საკონცერტო დარბაზში შთამბეჭდავი კონცერტი გაიმართა, სადაც ცნობილი სიმღერები თავად გიო ხუციშვილმაც შეასრულა. მან შვილთან და მეუღლესთან ერთადაც იმღერა.მომღერალმა მსმენელს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ ვარსკვლავი მხოლოდ მას კი არა, მთელ მის თაობას ეკუთვნის.

ღონისძიებას მთავრობის წევრები, კულტურის სფეროს წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეებიც დაესწრნენ.

FLY DUBAI ქუთაისიდან რეგულარულ რეისებს იწყებს

თბილისსა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების შემდეგ ავიაკომპანია Fly Dubai პირდაპირი რეისების განხორციელებას ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტიდანაც იწყებს.

ფრენები 14 ივნისიდან კვირაში 2 სიხშირით, ხუთშაბათსა და კვირას შესრულდება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ინფორმაციით, დამატებითი მგზავრთნაკადის გაზრდის მიზნით ავიაკომპანიებისთვის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტით სარგებლობის შეთავაზება მუდმივად მიმდინარეობს.

„Fly Dubai საკმაოდ ბევრ რეისს ასრულებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან. შარშან დაემატა რეისები ბათუმის აეროპორტიდანაც, წელს კი უკვე Fly Dubai ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდანაც იფრენს. ეს ნიშნავს იმას, რომ მგზავრი, რომელიც საქართველოში ჩამოდის, შეუძლია, ჩამოფრინდეს თბილისში და უკან გაფრინდეს ქუთაისიდან, ან ბათუმიდან, ან პირიქით. ვფიქრობთ, რომ მგზავრისთვის და ტურისტისთვის მსგავსი სერვისი ბევრად უფრო საინტერესო და მომგებიანი შეიძლება იყოს“, – განაცხადა ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორმა ქეთევან ალექსიძემ.

ფოტოატელიეს ნაცვლად – კაფე-ბარი!

ბათუმის საკრებულოს ნებართვით, ბათუმის მერიამ კერძო პირზე გასცა ძველი ბულვარის ისტორიული მემკვიდრეობის ტერიტორია. მერია ინვესტორს ნებართვას აძლევს, ბამბუკების ხეივნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძველი „ფოტოატელიეს“ ნაცვლად კაფე-ბარი გახსნას.

მოიჯარე კაფე-ბარის გარდა, ძველი ბულვარის ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილში, იგივე ფოტოატელიე და ბამბუკების ხეივნის მიმდებარე ტერიტორიაზე, კომპლექსური დასასვენებელი სივრცის მოწყობას გეგმავს.

ბათუმის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებას აკრიტიკებს ბულვარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ეთერ მაჭუტაძე. ის ამბობს რომ პროცესის შესაჩერებლად ყველაფერს გააკეთებს.

რას არ გაიგებ!

● **საუდის** არაბეთში ქალიშვილების კონკურსი „მის დიდებული მორალი“ გრძელდება, რა დროსაც პარანჯაში გამოწყობილი კონკურსანტები ჟიურის წევრების წინაშე (რომელშიც არც ერთი მამაკაცი არ არის!) აჩვენებენ ტრადიციებისა და რელიგიურ წეს-ჩვეულებათა ცოდნას, ხოლო ფინალში ჟიური უკვე იმას აფასებს, თუ როგორი პატივისცემით ეპყრობიან ისინი საკუთარ დედებს...

● 13 წლის განმავლობაში აშშ-ში ქიროპრაქტიკოსები ატარებდნენ კონკურსს „მის სწორი ტანადობა“, რა დროსაც ჟიურის წევრები ჯერ კონკურსანტების... რენტგენის სურათებს აფასებდნენ, ფინალის დროს კი ქალიშვილები მარჯვენა და მარცხენა ფეხებით ცალ-ცალკე სასწორებზე დგებოდნენ და თუკი ისრები ტოლ წონას აჩვენებდნენ, ტანადობა იდეალურად ითვლებოდა.

● ეიფელის კოშკს, რომელსაც გი დე მოპასანი „ლითონის ურჩხულს“ უწოდებდა, ყოველწლიურად 7 მილიონი კაცი სტუმრობს.

● „ექიმი ესპერანტო“, რაც „იმედის მქონეს“ ნიშნავს, ესაა ექიმ ლუდვიკ ზამენჰოფის ფსევდონიმი, რომელმაც მის მიერ შექმნილი საერთაშორისო ენის პირველი სახელმძღვანელო 1998 წელს გამოუშვა.

Aa (а)	Gg (г)	Kк (к)	Ss (с)
Bb (б)	Gg (дж)	Ll (л)	S~s~ (ш)
Cc (ц)	Hh (-)	Mm (м)	Tt (т)
Cc (ч)	Hh (х)	Nn (н)	Uu (у)
Dd (д)	Ii (и)	Oo (о)	U*u* (у краткое)
Ee (э)	Jj (й)	Pp (п)	Vv (в)
Ff (Ф)	J*j* (ж)	Rr (р)	Zz (з)

● ყოველწლიურად ქალი ორ ტუბ პომადას „ჭამს“, ხოლო სტატისტიკის მიხედვით, პომადას ყოველდღიურად ყოველი მეორე ქალი მოიხმარს.

● კოსმეტიკური მრეწველობის ყველაზე დიდი ბაზარი მსოფლიოში აშშ-ია, სადაც ამ სფეროს შემოსავალი წელიწადში 62 მილიარდ დოლარს აღემატება.

● ნიუ-ჰემფშირის (აშშ) უნივერსიტეტის მკვლევართა მონაცემებით, თავის მომვლელი ქალი ყოველდღიურად სახესა და ტანზე 168 სხვა ქიმიურ ნივთიერებას იცხებს.

● შვედმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ვირუსების გარეშე ადამიანის თავის ტვინი სულ სხვანაირი იქნებოდა.

როდის „ცრუობენ“ რუკები

კარტოგრაფიაში ცნობილია ეგრეთ წოდებული „მარკატორის ეფექტი“, რომლის გამო ესა თუ ის ტერიტორიები უფრო მცირე ზომისანი არიან, ვიდრე ეს რუკებზეა გამოსახული.

მერკატორი შუასაუკუნოვანი კარტოგრაფი იყო, რომელმაც სამგანზომილებიანი ობიექტების ბრტყელ ზედაპირზე გადატანის ხერხი შეიმუშავა, რომელიც ზღვაოსანთათვის იქნებოდა მოსახერხებელი. ბუნებრივია, რომ ამ დროს დამახინჯებები გარდაუვალია. ყველაფერი, რაც პოლუსებთან უფრო ახლოს მდებარეობს, იმაზე დიდი ხდება, ვიდრე სინამდვილეშია. თანაც, რაც უფრო ახლოა პოლუსი, მით მეტია დამახინჯება.

ამიტომაცაა, რომ გრენლანდია ავსტრალიაზე დიდი ჩანს, თუმცა კი სინამდვილეში მასზე 3,5-ჯერ მცირეა!

როცა კაცს დიდი დარდი აქვს...

ტირილი... თავის ტვინის ხელახლა გადატვირთვას იწვევს.

უწინ მიჩნეული იყო, რომ ტირილი – ესაა განსაკუთრებული ემოციური ნიშანი, რომელიც ადამიანის დისკომფორტული მდგომარეობის გამომხატველია, რომელიც დახმარებას საჭიროებს.

ახალი გამოკვლევით კი გაირკვა, რომ ტირილი ტვინის ხელახლა გადატვირთვას უწყობს ხელს, რადგან ერთი მდგომარეობიდან მეორეში გაცილებით მშვიდი გადადის.

ამიტომაცაა, რომ ტირილის შემდეგ კაცი თავს უფრო დამშვიდებულად გრძნობს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 2 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4717; ევრო - 2.8536;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2728;
100 რუბლი - 3.9422; თურქული ლირა - 0.5333;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4584;
1000 სომხური დრამი - 5.1227.

ამინდი 31 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +9, დღე +30
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +26
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +26
თბილისი: ღამე +11, დღე +30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge